# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 211 (6311)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## საქართველო კლინტონისგან არასაკმარის მხარდაჭერას იღებს იმ დროს, როდესაც რუსეთი ტერმინებს სულ უფრო ამკაცრებს

8



## ზაალ ბურჭულაძის დიდი მადლობა

5






## აღა-მაჰმად-ხანის ნაკვალევზე...

2

## „მსუბუქი ყოფაქცევა", ანუ „პატრიოტთა აქტი"

2

„ოპოზიციისთვის არჩევნებში მონაწილეობა ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანია"

4

## როგორ „დაუკავშირდა" სააკაშვილი მსოფლიოს

რამაზ კლიმიაშვილი:

## ვადამდელი არჩევნები უახლოეს ერთ-ორ თვეში დაინიშნება

3





ალექსანდრე რონდელი:

## როგორც ჩანს, აშშ და დასავლეთი რუსეთის მოქმედებაზე თვალს ნაწილობრივ ხუჭავენ

3



6-7

## ქართული ანდერგრაუნდი

ცხოვრება „უწიგნო სახლებში"



## მძიმე ჭაპანი

9

**აქცია**

# ალა-მაჰმად-ხანის ნაკვალევზე...

**სექტემბერში თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში" მრავალი ცვლილება შეიტანეს. ამ ცვლილების თანახმად, ქალაქ თბილისში 40-მდე გამწვანებულ ტერიტორიას (ბაღებს, პარკებსა და გამწვანებულ ფერდობებსძ რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა. ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს და გააადვილებს ამ ტერიტორიების გასხვისებასა და მასზე სხვადასხვა მშენებლობის დაწყებას...**



ამ ფაქტს გამოეხმაურნენ ოპოზიციური პარტიები, რომლებიც შვიდი ნოემბრის აქციებისთვის ემზადებიან და სპორტული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ამჟამად „მოთელვის" პერიოდი აქვთ. ნელ-ნელა პრობლემებს აგროვებენ და ბოლოს ყველას ერთად გააპროტესტებენ. რაც მთავარია, ხელისუფლებას გადადგომას მოსთხოვენ. რაც არ უნდა იყოს და რა მიზანიც არ უნდა ამოძრავებდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც მცენარეულობით ისედაც მწირ ქალაქში, გამწვანებული ადგილების შემცირებაა. ყველაზე უარესი კი მოქალაქეების ჯანმრთელობის ხარჯზე საკუთარი ბიუჯეტის შევსებაა.

სწორედ ამიტომ, გუშინ თბილისის საკრებულოს შენობასთან კონსერვატიულმა, მწვანეთა და ქალთა პარტიებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობები და საკრებულოს ორი ოპოზიციური წევრი — ლეიბორისტი პაატა ჯიბლაძე და ალასანიას გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძეც შეუერთდნენ.

**ლაშა ჩხარტიშვილი, კონსერვატიული პარტიის წევრი:**

საკრებულოს მიერ გენერალურ გეგმაში შეტანილი ცვლილებები ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის თბილისს, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამწვანებული დედაქალაქია. ამ რეალობის გათვალისწინებით საკრებულოს გადაწყვეტილება მართლაც დანაშაულებრივია და მისი ახსნა მხოლოდ უგულავა-სააკაშვილის კორუფციული დაკვეთის შესრულების წყურვილით შეიძლება. თუმცა, როგორც ჩანს, თბილისის ბაღ-პარკების განადგურების ხარჯზე სახელისუფლო სამშენებლო მაფია საკრებულოს წევრთა დიდ ნაწილსაც უწილოდ არ დატოვებს.

**გია გაჩეჩილაძე, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე:**

ვგმობთ თბილისის მწვანე საფარის განადგურებისკენ მიმართულ ქმედებათა კასკადს, რომელიც სააკაშვილის, უგულავასა და ახლა უკვე სამადაშვილის საქმიანობის შედეგად ხდება. ასევე ვაცხადებთ, რომ, ბოლომდე ვიბრძოლებთ თბილისის ბაღ-პარკებისა და ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გადასარჩენად. ჩვენი ხელისუფლება „ალა-მაჰმად-ხანის კვალს" მისდევს.

აქციის მონაწილეებმა საკრებულოს გადაწყვეტილების შეცვლას და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" მოქმედების შეჩერებას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პერმანენტული აქციებით იმუქრებიან.

**ანა წიწილაშვილი**

**სიახლე**

# უკრაინის ბაზარზე მალე ქართულ პროდუქტს ვიხილავთ!

**კომპანია „ყაზბეგის" პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მალე უკრაინის სამრეწველო ბაზარზე ახალი ლიმონათი „რეგინა-ყაზბეგი" გამოჩნდება. ცნობილია, რომ კომპანია „ყაზბეგს" საქართველოში წარმოებული ლიმონათი 20-ზე მეტ ქვეყანაში გააქვს. ძირითადი საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი და ყაზახეთია, მათ რიცხვს კი უკვე უკრაინაც შეემატა.**



სააქციო საზოგადოება „ყაზბეგსა" და უკრაინულ კომპანია „რეგინა-უკრაინას" შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლითაც 2009 წლის ნოემბრიდან „რეგინას" მინერალური წყლის ჩამოსასხმელ ქარხანაში ლიმონათი „რეგინა-ყაზბეგის" ჩამოსხმა დაიწყება. თავდაპირველად ოთხი სახეობის ლიმონათი ჩამოისხმება: ყურძნის, ლიმონის, ტარხუნის და მსხლის, ყოველწლიურად — 20 მილიონი ბოთლი. ხოლო მომავალში დაგეგმილია ასორტიმენტის გაფართოებაც და წარმოების მოცულობის გაზრდაც. ლიმონათი „რეგინა-ყაზბეგისთვის" საქართველოდან გაიგზავნება კომპანია „ყაზბეგის" მიერ შემუშავებული უნიკალური რეცეპტით დამზადებული არომატიზებული ფხვნილები. მცენარეული ნედლეულისგან მიღებული არომატიზებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და ნედლეულად გამოყენებულია ქართული ხილი — ატამი, ჟოლო, მსხალი, ალუბალი, ტარხუნა, ფეიხოა, ლიმონი, ფორთოხალი, კომში და ყურძენი.

კომპანია „ყაზბეგის" პარტნიორი უკრაინული უმსხვილესი ბიზნეს ჯგუფია, ამჟამად კომპანია კიევში უმსხვილეს სავაჭრო ცენტრს აშენებს, სადაც საქართველოში დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური პროდუქტები გაიყიდება.

„ყაზბეგის" პარტნიორობით და სავაჭრო ნიშნით ლიმონათის წარმოება წლის ბოლომდე ყაზახეთშიც დაიწყება. ამ ეტაპზე ერთობლივი ქართულ-ყაზახური საწარმოს და ყაზახეთში „ყაზბეგის" სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურა მიმდინარეობს.

„უკრაინა ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა და ჩვენი კოლეგებიც დაინტერესებულნი არიან ამ ექსპორტის წარმოებით. პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ ვახერხებთ რუსეთში ნაწარმის შეტანას, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ უკრაინის დახმარებით შევძლებთ არა მარტო რუსეთს, არამედ ევროპასაც მივაწოდოთ ქართული ლიმონათი", — განაცხადა გოგი თოფაძემ.

**ხატია მუსერიძე**

**ბრიფინგი**

# ედპ ჯანდაცვის სფეროს კომერციალიზაციის წინააღმდეგია

**ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს როლი რომ მნიშვნელოვანია, ეს მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმაც დაადასტურა (განსაკუთრებით ამერიკას გაუჩინა თავის ტკივილიძ. საბაზრო პრინციპებისა და განკერძოების პროცესის შემოტანამ საქართველოში ის შედეგი მოგვცა, რომ მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის, ვინაიდან ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის ორმოცი პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. საქართველოში საავადმყოფოების პრივატიზებამ სამედიცინო პერსონალის პოტენციალი შეამცირა და ბევრ შემთხვევაში მათი უფლებები შელახა.**

ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში დეპუტატმა **გურამ ჩახვაძემ** ბრიფინგი გამართა. მისი თქმით, არსებობს 2007 წლის სამთავრობო დოკუმენტი „საქართველოში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის განვითარების გენერალური გეგმა", რომლის დასრულება მომავალი წლისთვის არის ნავარაუდევი.

ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოხდება არსებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების პრივატიზება — აუქციონის ფორმით. **„კლინიკები არ არიან კონკურენტუნარიანი, ამიტომ მოხდება მათი პრივატიზაცია. ამით კერძო სადაზღვევო კომპანიები არიან დაინტერესებულნი",** — აღნიშნა ჩახვაძემ. დეპუტატს განსაკუთრებით ეს საკითხი აშფოთებს, რადგან არც ერთ ქვეყანაში სადაზღვევო კომპანიებს არ აქვთ ბიზნესის კეთების უფლება, ჩვენთან კი დაზღვევა, აფთიაქები და საავადმყოფოები მათ ხელში აღმოჩნდება და სრული მონოპოლიზაცია მოხდება.

ედპ-ს პოზიცია ასეთია: აუცილებელია სახელმწიფომ შეინარჩუნოს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული პოლიკლინიკების ოპტიმალური რაოდენობა და იზრუნოს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. აუცილებელია სამედიცინო მომსახურების სისტემა მთლიანად გადავიდეს დაზღვევის ორსაფეხურიან სისტემაზე (სახელმწიფოზე და კერძოზეძ და ბოლოს, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის საშუალება — ამოირჩიოს მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება და ექიმი.

**„თბილისის პოლიკლინიკების პრივატიზაციის შესახებ მერიაში ახლა მოთელვა მიდის. ჩვენ მერიის შესაბამის სამსახურს ამ საკითხზე თანამშრომლობას ვთავაზობთ",** — აღნიშნა დეპუტატმა. თუმცა საკითხავია, ედპ-სთან ერთად ამ საკითხის განხილვისთვის რამდენად აღმოჩნდება მზად თავად მერია...

**ნია ფიფია**

**პროტესტი**

# ჯანდაცვისთვის ხელისუფლება სასაცილო თანხას იმეტებს

**პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" წევრმა ლევან როინიშვილმა პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „ჯანდაცვის შემცირებული ბიუჯეტი", მისი განცხადებით, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში უკანა პლანზეა გადატანილი მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები, ჯანდაცვის ბიუჯეტი 2009 წელს 372,4 მილიონ ლარია, 2010 წელს კი ამ სეგმენტის დაფინანსება 40 მილიონი ლარით შემცირდა, რაც საერთო ჯამში 333,2 მილიონ ლარია. ეს ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დააზარალებს.** ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისთვის საბიუჯეტო ხარჯების სულ რაღაც 5,3 პროცენტს იმეტებს, რაც სასაცილო თანხაა, სამედიცინო სისტემის ნგრევის დასაწყისია.

პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ოფისში განაცხადეს, რომ 2010 წლისთვის აგრალური სექტორიც არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, მომავალ წელს სოფლის მეურნეობის დაფინანსება 57 პროცენტით — 81,8 მილიონიდან 34,5 მილიონ ლარამდე მცირდება. ხელისუფლება, რომელსაც ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავს, პარალიზებულია და მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა ჩამოსცილდეს სახელმწიფო მართვის სადავეებს — განაცხადა პრესკონფერენციაზე ლევან როინიშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

**ფიქრები**

# „მსუბუქი ყოფაქცევა", ანუ „პატრიოტთა აქტი"

**ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, რომ ავღანეთიდან და შუა აზიიდან გამავალი ნარკოტრასა საქართველოზე გადის.**

**აქედან გამომდინარე, ძალიან კარგად მესმის, რომ ამსტერდამში წასაღები „პლანის" გარკვეული რაოდენობა საქართველოში რჩება.**

ასევე, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ხელისუფლების და ე.წ. ოპოზიციის „შემართებას", ადვილად მივხვდებით, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, „საკმაოდ დაბოლილია".

ამიტომ უნებურად მთელი ქართული ე.წ. „ოპოზიციური სპექტრის" და განსაკუთრებით მისი „შეურიგებელი ნაწილის" ერთ-ერთი წარმომადგენლის, ანუ ლეიბორისტების მიმართ ერთი, საკმაოდ უცნაური კითხვები მებადება:

— რატომ ახსენებთ ე.წ. „მსუბუქ" ყოფაქცევას"?

— რა, უკვე შევიდა ძალაში ლუსტრაციის კანონი და „აღიარებით ჩაბარდით ქართველ ხალხს"?

აუუ, ახლა არ დამიწყოთ რაღაც „ლათაიები".

ერთ კითხვასაც დაგისვამთ: — რამდენი გაქვთ ხელფასის სახით მიღებული, როგორც პარლამენტის წევრებს?

არა, ნამდვილად არ მაინტერესებს ის მარტივი „აფიორა", რომელიც „განახორციელეთ" პარლამენტში „შესვლა-არშესვლასთან" დაკავშირებით. არ მაინტერესებს, როგორ „გააგდეთ" ამერიკული ენერგოკომპანია და როგორ დაიკავა მისი ადგილი რუსულმა კომპანიამ (საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ ყველამ ყველაფერი იცის).

და ერთი კითხვა კიდევ: — კარგით, ილებთ იმ ჯამაგირს მიხეილ სააკაშვილისგან, „პროტესტის ნიშნად" არ შედიოდით „პარლამენტში" (ეს რომ მჯერა, მაგარი დაბოლილი ვარ არა?ძ, რამდენი გადაურიცხეთ „სოციალურად დაუცველ ხალხს"?

აქედან გამომდინარე, ძალიან მაინტერესებს თქვენი „ხედვა" იმ „ზოგადსაკაცობრიო პრობლემასთან მიმართებაში", თუ რას ნიშნავს „მსუბუქი ყოფაქცევა".

რა მაგის პასუხია და, უნამუსო ვიყო, თუ ის ქალები, ცირკთან რომ დგანან, ზოგიერთ ე.წ. პოლიტიკანზე უფრო წესიერები არ იყვნენ.

ახლა სხვას „მივხედოთ"!

რაო, ბატონო გია თორთლაძე, „ლუსტრაცია" მოგვინდა?

იმაზე მეტი ლუსტრაცია ვის უნახავს ან სმენია, რაც თქვენ გააკეთეთ?

აი ნამდვილი ლუსტრაცია!

ყოჩაღ!

ხომ მოგბაძათ ზოგიერთებმა.

არა, იმათზე კი არ ვამბობ, ამ ე.წ. პარლამენტში ვითომდა საპარლამენტო ოპოზიცია რომ ჰქვიათ და აწ უკვე „დაშლილ" თუ „გაუქმებულ", „ანტიკრიზისულ საბჭოში" „მოღვაწეობენ".

მე „არასაპარლამენტო ოპოზიციის" იმ „წარმომადგენლებს" მინდა „თვალი ჩავუპაჭუნო", რომლებიც მიხეილ სააკაშვილს გიჟს ეძახდნენ და შემდეგ ლატვიელი კომუნისტების ლიდერისთვის ორდენის გადაცემის დროს, „წონაში მომატება-დაკლების" საკითხებზე საუბრობდნენ პრესისგან „უჩუმრად".

რაო, ბატონო კაკო? ისევ ავად ხომ არა ხართ, როგორც 1991 წელს გახდით და ისევ ბათუმისკენ ხომ არ „გაისეირნებთ"?.

კარგით, კაკო ასათიანის „ერთგულების" და „სუსტი ჯანმრთელობის" ამბავი, მგონი მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ

კოკო?

პრინციპში „კოკო" კარგა გვარიანად განსხვავდება „კონსტანტინესგან" და ამიტომ აქაც არაფერია „გასაკვირი".

კიდევ ვისზე ვილაპარაკო?

სისულელეა ეს ყველაფერი, რადგანაც „კაროჩე რა"!

აბა თქვენა ხართ ეს „ოპოები".

ისე, რაღა დაგიმალოთ და, მაგარ „პონტში ხართ გაჩითულები".

რატომ?

თუნდაც იმიტომ, რომ, მე რომ ამ პოლიციამ „თქვენგან დამოუკიდებლად დაბოლილი" მნახოს, მაგარ „შარს ამკიდებს".

თქვენგან „დაბოლილები" კი „თხლად გულაობენ".

**გია გაბრიჭიძე**

კომენტარი



***აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოსკოვური ვიზიტის შედეგებსა და აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე, ასევე იმაზე, რეალურად რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობებში საქართველოს საკითხს, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდის ხელმძღვანელს ალექსანდრე რონდელს ესაუბრა.***

# როგორც ჩანს, აშშ და დასავლეთი რუსეთის მოქმედებაზე თვალს ნაწილობრივ ხუჭავენ

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებს და ამ თვალსაზრისით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვიზიტს მოსკოვში?**

— ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობისთვის, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა ჩვენთვისაც ჰქონდა. ჩვენ გვაინტერესებდა, გვახსენებდნენ თუ არა ამ მოლაპარაკებებზე და რა კონტექსტში. რაც იყო, ჩვენთვის ძალიან კარგი და მისაღებია. კარგია, რომ ჩვენზე ქალბატონმა კლინტონმა ყურადღება გაამახვილა. განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ აშშ და რუსეთი განსხვავებული ფასეულობების, შეხედულებების ქვეყნები არიან, მაგრამ ამ ფონზე ითქვა, რომ აშშ საქართველოს დაეხმარება; ვაშინგტონი არ მიიღებს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას. გარდა ამისა, ითქვა, რომ შეერთებული შტატები მონახავს გზას, რათა საქართველომ თავი დაიცვას.

რაც შეეხება თავად ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს, აქ ამერიკის მიზანი იყო, რომ რამენაირად მიეღწია რუსეთის მობილიზება ირანთან დაკავშირებით, დაეთანხმებინა რუსეთი ირანის მიმართ სანქციებზე. ამ თვალსაზრისით, გარკვეული წინსვლა იყო, მაგრამ ყველაფერი ეს გადაიფარა ერთი, თითქოს მთავარი საკითხით — მასობრივი განადგურების იარაღის შემცირების საკითხით, რომლის პრობლემა რეალურად არ არის, ვინაიდან ამაში ორივე მხარე თანხმდება და რუსეთს მათი შენახვის პრობლემა აქვს. რუსეთი, თავისი მხრიდან, ამ ნაბიჯის გადადგმას, ანუ ბირთვული იარაღის შემცირებას, კარგ ფასად გაყიდის. ამერიკელებიც ამას თამაშობენ და, სავარაუდოდ, ამ ხელშეკრულებას 5 დეკემბერს მოეწერება ხელი. მთელ მსოფლიოში იქნება დიდი ჟრიამული, რომ ორი დიდი ბირთვული ქვეყანა ბირთვული იარაღის შემცირებაზე შეთანხმდა.

ამ ფონზე მხარეებმა განიხილეს ირანის, ენერგეტიკის, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და საქართველოსაც შეეხნენ. ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრა ჩვენთვის, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, საერთაშორისო თანამეგობრობის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ცუდი არ იყო. როცა აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობები დამშვიდებულია, ეს ყველასათვის კარგია. ჩვენთვის, საერთო ჯამში, არ არის კარგი, მაგრამ მაინც ჯობია, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის კარგი ურთიერთობები იყოს. რუსეთი რაც უფრო ჩართულია დასავლეთთან ურთიერთობებში, მით უფრო ადვილად მართვადია, თუმცა ყოველთვის ასე არ გამოდის.

**— იმ ფონზე, როცა რუსეთი ითხოვს, არ მიაწოდონ საქართველოს სამხედრო იარაღი, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ დაეხმარება საქართველოს, რათა შეძლოს თავის დაცვა. უდავოა, რომ საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ვაშინგტონმა პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა...**

— მართლაც კარგად არის ნათქვამი. კარგად არის მოძებნილი ის სიტყვები, რისი თქმაც ალბათ ქალბატონ კლინტონს სურდა. ასეთი განცხადებებისას ყოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰილარი კლინტონმა სათქმელი იმგვარად თქვა, რომ შეგიძლია, გაიგო, როგორც გინდა.

ზოგმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ნათქვამი გაიგო, როგორც სამხედრო იარაღის მიწოდებისთვის აშშ-ს მზაობა. მეჩვენება, რომ აქ არ იყო ნაგულისხმები იარაღის მიწოდება. ვფიქრობ, აქ იყო ნათქვამი მხოლოდ ის, რომ აშშ საქართველოს მორალურად, ეკონომიკურად დაეხმარება და გადაეფარება.

**— ბევრი ელოდა, რომ საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტები ან აშშ-ს სამხედრო ბაზა განლაგდებოდა, მაგრამ კლინტონმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების საქართველოში განლაგების საფუძველს ვერ ხედავს. . .**

— ხშირად ვილაც ამგვარ იდეას, ნებით თუ უნებლიეთ, შემოაგდებს და შემდეგ მედიაში ატყდება დიდი გნიასი. თავიდანვე მეჩვენებოდა, რომ ეს სწორი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. მეეჭვება, რომ წელს ან გაისად ამის მაგვარი რამ ვინმეს თავში ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ისეთია, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ხაზს ვუსვამ, მე არაფერს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე საუბარი არ არის.

**— კლინტონის ვიზიტის მიმდინარეობისას რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე პატრუშევის განცხადება, რომ რუსეთი ახალ სამხედრო დოქტრინაში იტოვებს უფლებას, პრევენციულად გამოიყენოს ბირთვული იარაღი?**

— ეს ახალი არ არის, რუსეთს თავის სამხედრო დოქტრინაში ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობა მანამდეც ჰქონდა. ამგვარია მათი მიდგომა, რომელიც არ შეცვლილა და ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის, ვინაიდან მოსკოვი ამ თეორიას პრაქტიკაშიც ახორციელებს. ამას აკეთებენ, რადგან იციან, რომ გაუვათ.

**— ბატონო ალექსანდრე, თუ აშშ რუსეთის ავტორიტარიზმსა და არადემოკრატიულობაზე თვალს ხუჭავს, საერთაშორისო ასპარეზზე თავხედობას და საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევას ეგუება, მაშინ რა გამოდის?**

— გამოდის ჩვეულებრივი რამ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, პირველ ყოვლისა, ხელმძღვანელობენ ეროვნული ინტერესებით და თავიანთი უსაფრთხოების პრიორიტეტებით. ფასეულობა და პრინციპები ზოგჯერ განზე რჩებათ ან მეორეხარისხოვანი ხდება. კარგია, რომ ყოველთვის წინა პლანზე იყოს ფასეულობა და პრინციპები. ასეთ შემთხვევაში რუსეთი ჩვენზე თავდასხმას ვერ გაბედავდა, მაგრამ სამწუხაროდ ასეა, ხშირად ინტერესები ძლევს ხოლმე. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწე ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს, კარგია, თუ ეს ინტერესები ზნეობრივად გამართულია, მაგრამ თუ არ არის, მაინც იძულებულია, მიიღოს ის, რასაც მას ინტერესები უკარნახებს. ეს ფაქტია. ამიტომ სავსებით გასაგებია, როცა მსოფლიოში ეროვნული ინტერესები ძალის პრიმატით არის გამაგრებული. თავის დროზე აშშ-მ და ევროპამ ჩეჩნეთზე თვალი დახუჭეს, რუსეთს მისცეს საშუალება, ეკეთებინა, რაც უნდოდა. ამ მხრივ რუსეთს ზედმეტიც მოუვიდა. ახლაც, როგორც ჩანს, აშშ და დასავლეთი რუსეთის მოქმედებაზე თვალს ნაწილობრივ ხუჭავენ. თუმცა, ქალბატონმა კლინტონმა განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების დაცვას და ასე შემდეგ.

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია კლინტონის ვიზიტი ყაზანში. მართალია, თათრეთის დედაქალაქში ერთი დღით ჩავიდა და მოუწყვეს იმის დემონსტრირება, როგორ არიან ერთად ხელიხელჩაკიდებული ისლამი და ქრისტიანობა. მაგრამ, ჩემი აზრით, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყაზანში სტუმრობა ვაშინგტონის მხრიდან იმის მინიშნებაა, რომ სათათრეთი მთლად რუსული შეხედულებების არ არის, რუსეთი არ არის ერთფეროვანი, მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ქვეყანაა. ნებისმიერ ვიზიტს, რომელიმე ავტონომიაში ან რომელიმე უმცირესობის ტერიტორიაზე ხორციელდება, ყოველთვის დიპლომატიური და პოლიტიკური ელფერი აქვს. საერთოდ სათათრეთში რთული ვითარებაა, ჯერ ვითომ ძმობაა, მაგრამ ასე არ გაგრძელდება და ვითომ ძმობა-ერთობის ვითარება ოდესმე დასრულდება.

**კობა ბენდელიანი**

თვალსაზრისი

# ვადამდელი არჩევნები უახლოეს ერთ-ორ თვეში დაინიშნება

**ასე ფიქრობს პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი**



**— ბატონო რამაზ, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა გუშინ სასტუმრო „ივერია სას რედისონში“ სააკაშვილის საქართველოსგან გამიჯვნის გზებზე იმსჯელეს. რადიკალებად წოდებული ოპოზიცია კვლავ შეურიგებელ ბრძოლაზე და აქციებზე საუბრობს, მეორე ფრთა კი სააკაშვილის საქართველოსგან გამიჯვნის გზას არჩევნებში ხედავს. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით?**

— ერთი მხრივ, არჩევნებზე ორიენტაცია სრულიად ლოგიკურია, თუმცა 8 თვეში არჩევნების ჩატარება არარეალურად მიმაჩნია, რადგან არავინ იცის, მანამდე რას მოიმოქმედებს სააკაშვილი. მე რომ მუსლიმანი ვიყო, ვიტყოდი, ალაჰმა იცისო, მაგრამ არ ვარ. ისე კი, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერის მიერ ჩამოყალიბებული პოზიციები სრულიად ლოგიკური და გასაგებია. არიან შეურიგებლებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ვიდრე კიდევ რაიმე უბედურება არ დაგვმართნია, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რაშიც აქციებიც იგულისხმება, თუმცა ამ ორი განსხვავებული პოზიციის მქონე ოპოზიციურ ფრთას შორის არის შეთანხმებაც, რომ კოორდინირებულ რეჟიმში იყვნენ, ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს და პატივი სცენ ორივე მხარის მოსაზრებებს.

**— რამდენად გაამართლებს ქუჩის აქციების ხელახლა დაწყება, იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის აქციები პრაქტიკულად, უშედეგოდ დასრულდა?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ზაფხულის აქციებმა შედეგი არ მოიტანა, პირიქით, ძალიან დიდი შედეგი მოიტანა. მე არ ვამბობ, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვა, მაგრამ არც დამარცხებულა, იქ სხვა რამ მოხდა — დამარცხდა სააკაშვილი, რადგან თბილისში ფეხის დადგმა ვერ გაბედა. პარლამენტი და მთავრობა არ მუშაობდა, მაგრამ მოხდა ასევე საპირისპირო რამ — გაძლიერდა შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, კონტროლი საკუთარ თავზე მთლიანად მან აიღო. მოკლედ, სააკაშვილი ჩამოქვეითდა, მერაბიშვილი აღზევდა, ოპოზიცია კი სადღაც შუაშია. ოპოზიციის მოთხოვნა იყო, რომ სააკაშვილი გადამდგარიყო და სააკაშვილი დღეს მხოლოდ დე იურე პრეზიდენტია, დე ფაქტო — არა! მმართველი გუნდი ისე იღებს გადაწყვეტილებებს, რომ მას აღარც კი ეკითხება არაფერს. რაც ყველაზე მთავარია, სააკაშვილს ძალიან ცუდად აქვს საქმე იმიტომ, რომ მასთან შეხვედრა აღარავის უნდა, არც ევროპაში, არც ამერიკაში და იძულებულია, არაბ შეიხებთან წავიდეს.

**— თუ პრეზიდენტი მსგავს იზოლაციაშია, რაში ხედავთ გამოსავალს?**

— როდესაც სააკაშვილი ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც მთელი მსოფლიოს პირველი პირები იყვნენ შეკრებილნი, მას ხელიც კი არავინ ჩამოართვა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სააკაშვილის, ლიბიის და ირანის ლიდერების გარდა ყველას ჩამოართვა ხელი და ცოტა ხნით ყველას გაესაუბრა, ასეთ შემთხვევაში, ძნელია დაარწმუნო ის, რომ გადადგეს. ეს კაცი დაბნეულია, არც აქ დასარჩენი აღარ აქვს და არც წასასვლელი, სად წავიდეს? რომელიმე არაბულ ქვეყანაში იცხოვროს? აღარც ევროპაში სჭირდება არავის და არც ამერიკაში. იმით, რომ სააკაშვილს ზურგი შეაქციეს, ძალიან ცუდი რამ გაგვიკეთეს, იმიტომ, რომ მანამდე იმედი მაინც ჰქონდა, რომ სადმე წავიდოდა და იცხოვრებდა...

**— აქედან გამომდინარე, რა სიტუაციაშია ქვეყანა და მისი მოსახლეობა?**

— არის აბსოლუტური გაუგებრობა, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ადგილობრივი არჩევნები მაისში იქნება, საეჭვოდ მიმაჩნია. არჩევნები იქნება მანამდე, გაცილებით ადრე. შეიძლება სააკაშვილმა რამე მოაწყოს, შეიძლება ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არჩევნები უახლოეს ერთ-ორ თვეში დაინიშნება.

**— თუ თქვენი ვარაუდი გამართლდა და ვადამდელი არჩევნები მართლაც დაინიშნა, როგორ ფიქრობთ, რომელ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას აქვს მეტი შანსი, რომ ამ არჩევნებში რაიმე წარმატებას მიაღწიოს?**

—ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ჯერ საჭიროა რეჟიმის შეცვლა და მერე შევხედოთ, რომელია უკეთესი და რომელს აქვს გამარჯვების მეტი შანსი.

**ლევან სულაშვილი.**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

პოზიცია




*სასტუმრო „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციური ძალები მხოლოდ ერთ საკითხზე — ერთმანეთზე თავდაუსხმელობის დოკუმენტის მომზადებაზე შეთანხმდნენ. შეხვედრაზე რამდენიმე გეგმა კი განიხილეს, მაგრამ ერთი კონკრეტულის არჩევა და საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოახერხეს. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ საზოგადოებაში უფრო გამძაფრდა იმის შეგრძნება, რომ ოპოზიცია გაერთიანებას ვერ შეძლებს და ცალ-ცალკე ბრძოლას გადაწყვეტს, რაც ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს. რა ტენდენციები გამოიკვეთა „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე, შეძლებს თუ არა ოპოზიცია ერთიანი ძალით ახალი მასშტაბური საპროტესტო ტალღის აგორებას? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.*

# ოპოზიციისთვის არჩევნებში მონაწილეობა ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანია

**— ბატონო სოსო, გუშინ სასტუმრო „რედისონში“ გამართული შეხვედრიდან, როგორც პოლიტოლოგმა, რა დასკვნა გამოიტანეთ, შეძლებს ოპოზიცია გაერთიანებას?**

— გუშინდელ შეხვედრაზე თითქოს ერთობაზე იყო საუბარი. ერთობა კეთილშობილი იდეაა. კი, ბატონო, ამას რა სჯობს, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და არ მგონია, რეალურად გაერთიანება მოახერხონ.

**— შეხვედრაზე რამდენიმე გეგმა იყო წარმოდგენილი, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ. რა არის ამის მთავარი მიზეზი?**

— გამიკვირდებოდა, რომ ყველაფერში შეთანხმებულიყვნენ. ეს არ გამკვირებია, რადგან შეუთანხმებლობა უკვე ჩვენი ოპოზიციის სავიზიტო ბარათია. თითქოს მიზანი ყველას ერთი აქვს, მაგრამ მისი მიღწევის გზები იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რომ საერთო ენას ვერ გამონახავენ.

ერთი მხრივ, აცხადებენ, კონსტიტუციური ჩარჩოებით ვიმოქმედებთო. არ ვიცი, კონსტიტუცია მეც წაკითხული მაქვს და საკონსტიტუციო კომისიის წევრიც ვარ, მაგრამ ვერსად ვნახე, კონსტიტუციაში ეწეროს, რომ საკნების დადგმით შეიძლებოდეს რევოლუციის მოხდენა. კონსტიტუციის ფარგლებში კი, ბატონო, მიტინგებიც დასაშვებია, მსვლელობებიც, აქციებიც, მაგრამ იმდენად განსხვავებული და დიდია რხევის ამპლიტუდა, რომ ვერაფერი გავიგე.

**— ფაქტია, რომ ოპოზიციაში უკვე რამდენიმე ფრთა გამოიკვეთა. თქვენი ვარაუდით, ოპოზიციის რომელი ნაწილი უფრო მოიგებს, არჩევნებში მონაწილეობის მომხრეები, თუ რადიკალური მეთოდების მხარდამჭერები?**

— რადიკალური ოპოზიციონერი ლიდერები უკვე გამოიკვეთნენ. ეს ადამიანები და განსაკუთრებით ზურაბიშვილის ქალი, ხშირად ხმარობენ ტერმინს „შეურიგებლობას“. თვითონ ეს ტერმინია უკვე არაცივილიზებული. ცივილიზებული პოლიტიკა არ ცნობს ისეთ ცნებას, როგორიც არის შეურიგებლობა. რადიკალიზმსაც აქვს თავისი ზღვარი, რომლის იქით მარგინალობაა. რადიკალიზმი ცივილიზებულ ჩარჩოებს თუ ძალიან გადაცდა, იქიდან მარგინალიზაციამდე პატარა მანძილი რჩება.

**— ოპოზიციის ქმედებებში მარგინალიზაციის ნიშნებს უკვე ხედავთ?**

— ზოგიერთში ვხედავ, რასაკვირველია. ეს ყველაფერი ავადმყოფობასავითაა. კარგი ექიმი ავადმყოფობას დასაწყისში, პირველ სიმპტომებზევე ამჩნევს. ცუდი ექიმი კი ავადმყოფობას მას შემდეგ ხედავს, როცა ავადმყოფი ლოგინს ეჯაჭვება და დღეები აქვს დათვლილი. აი, ამაშია საქმე, თვითონვე უნდა ხვდებოდნენ ამ სიმპტომებს.

ცალ-ცალკე აღებული, ოპოზიციის ყველა ლიდერი ნორმალურია, ყოველ შემთხვევაში ვერავისზე იტყვი, რომ სულელია. მაგრამ ერთად რომ შეიკრიბებიან, რატომღაც მაგათი მარგი ქმედების კოეფიციენტი სერიოზულად დაბლდება. არ ვიცი, ამის მიზეზი რა არის. მათ სამზარეულოს არ ვიცნობ და ზუსტ დასკვნას ვერ გავაკეთებ.

**— მოცემული სიტუაციის გათვალისწინებით, ოპოზიციისადმი საზოგადოების ნაწილის მხარდაჭერა რა როლს ასრულებს?**

— ჩემი აზრით, ოპოზიციისადმი მხარდაჭერა დღეს მაღალი არ არის. უფრო მაღალია საზოგადოების უკმაყოფილება თავისი სოციალური მდგომარეობით. საზოგადოების ოპოზიციის მიმართ დამოკიდებულებაში გაცილებით ცუდი ტენდენცია შეიმჩნევა, ვიდრე უკმაყოფილებაა.

**— თუ ოპოზიციამ ხალხს შედეგზე გათვლილი დამაჯერებელი გეგმა დაუდო, როგორ ფიქრობთ, ხალხი გაჰყვება?**

— ოპოზიციის მიმართ ხალხი თანდათანობით გულგრილი ხდება. ყველაზე საშიში სწორედ გულგრილობაა. ნუ ვიმსჯელებთ ჩვენ საზოგადოების საერთო განწყობილებაზე „კავკასიის“ ეთერში დამრეკავი, ვთქვათ ძსენია დიასახლისებით, ეგზოტიკური პიროვნებებით და იმ მესიჯებით, იქ რომ იგზავნება.

**— ამ ყველაფრის ფონზე ხელისუფლებას რა პოზა უკავია?**

— ხელისუფლება დღეს ძირითადად გადასულია სოციალური ფონის გაუმჯობესების მცდელობაზე, მაგრამ განზრახვა ზევიდან ქვევით რომ მოდის, ჩინოვნიკების დონეზე სულ სხვა სახეს ღებულობს.

**— თქვენი პროგნოზით ვინ უფრო მოიგებს, ის, ვინც არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას, თუ ის, ვინც ბრძოლის რადიკალური ფორმების მომხრეა?**

— არჩევნების მომხრეებს უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე რადიკალებს, რადგან რადიკალების მომხრეთა რიცხვი თანდათან მცირდება. რადიკალური ოპოზიცია, ივნისიდან თუ ივლისიდან მოყოლებული, საპროტესტო აქციების განახლებით იმუქრებოდა, აი, მოვა შემოდგომა და ნახავთ, რა მოხდებაო. შემოდგომა გადის, ერთ თვეში ზამთარი დადგება და ვერაფერი ვნახეთ.

**— ბატონო სოსო, არჩევნების მომხრე ოპოზიციას კონკრეტულად რის მიღება შეუძლია, გამარჯვების შანსი აქვს? არჩევნების შემდეგ გაცილებით რთულ მდგომარეობაში ხომ არ აღმოჩნდება?**

— თუ კარგად მოემზადებიან, ვერ გეტყვით, რომ უმრავლესობაში მოვლენ, მაგრამ შანსი აქვთ. შეიძლება უმრავლესობაში ვერ მოვიდნენ, რადგან კარგად არ ემზადებიან და შიგნითაც აქვთ მოუგვარებელი პრობლემები. არჩევნებში მონაწილეობა ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანია. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ისეთმა რადიკალმა, როგორიცაა შალვა ნათელაშვილი, კატასტროფული უწოდა იმ ფაქტს, რომ 2008 წელს ოპოზიცია პარლამენტში არ შევიდა. ფაქტია, 5-6 კაცის მაგივრად პარლამენტში 30 ოპოზიციონერი რომ ყოფილიყო, ცოტა სხვა ვითარება იქნებოდა.

„გზავნილები სამყაროსთვის“

# როგორ „დაუკავშირდა“ სააკაშვილი მსოფლიოს

**დაიწყებს საპროცესო აქციებს ოპოზიცია? დაიწყოს. მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს არ ეშინია. ჩვენი მიშა ის პრეზიდენტია, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაზე გავლენას ჯერ კიდევ ახდენს. ტალიავინის დასკვნის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ მის რეპუტაციას ჩრდილი მიადგებოდა და სამხედრო ტრიბუნალი არ ასცდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა.**

ერთ-ერთ გავლენიან საერთაშორისო არხზე — CNN-ზე მიხეილ სააკაშვილი ჩვეული პათოსით „გაბრწყინდა“ და მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ საქართველო თავისუფლებისმოყვარე ერია, რომ პრეზიდენტს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ სამხედრო პასუხი გაეცა შემოჭრილი რუსი მებრძოლებისთვის, რომლებიც, ოსურ ბანდფორმირებებს ამოფარებულნი, სხვადასხვა პროვოკაციას ახორციელებდნენ. ქართულ მხარეს ყოველდღე რამდენიმე ნაღმზე აფეთქებული თუ ტყვიით განგმირული ჰყავდა. ასე შემოჭრილ მტერს, მის ჯარისკაცებს ყვავილებს არც თქვენ გაუგზავნიდით, ასე „დაუკავშირდა“ მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოს. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი დაუჯერებდა...

ამ საკითხთან დაკავშირებით მას ოპონენტები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, მაგრამ სიმართლე ვის მხარეს არის, დღეს ამაზე მსჯელობა, ალბათ, წყლის ნაყვაა; ასეთი ფაქტების საუკეთესო შემფასებელი საბოლოოდ მაინც ისტორიაა, ანუ დრო, რომელსაც ყველაზე კარგად ძალუძს ღირებულებათა გადაფასება.

ერთი კია, რომ ჰაიდი ტალიავინის დასკვნამ ჰააგამდე ვერ მიგვიყვანა, თუმცა ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ დასკვნამ ჰააგამდე კი არადა, რუსთაველამდე მაინც მიიყვანოს „აღშფოთებული“ საზოგადოება. აღშფოთებული — ბრჭყალებში ეს იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში ტალიავინის გამომზეურებულ ფაქტებს არავინ ჩაუგდია. ისევე როგორც ბებერი ევროპა შეეგუა იმას, რაც მოხდა, ქართული საზოგადოებაც ეგუება იმას, რაც მოხდა. მართალია, ამ საზოგადოებამ ძალიან ბევრი დაკარგა აგვისტოს ომით, ვიდრე რომელიმე დასავლეთელმა, თუ არ ჩავთვლით ჰოლანდიელ ჟურნალისტს, რომელიც გორში დაიღუპა კასეტური ბომბით, მაგრამ მაინც რაც იყო, იყო.

გასულ კვირას საქართველოში ნატოს დღეები აღინიშნა და რამდენიმე დღით ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სიმონსი გვესტუმრა, რაც იმას გულისხმობს, რომ ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. „ქოლგა“ ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება, რადგან ცაზე პირქუში ღრუბლები შეკრებილა, ელავს, თუმცა ჯერ ჭექაქუხილი არ დაწყებულა, რასაც აუცილებლად ღვარცოფი მოჰყვება. ექსპერტთა უმეტესობა (ყოველ შემთხვევაში, მე სხვა აზრის მქონე ექსპერტი არ შემხვედრია) მიიჩნევს, რომ ნატო საქართველოსთვის აუცილებელია. მართალია, ნატოს მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ ვაფასებთ და ბუშტებისა და ტრანსფარანტების დონეზე ვხვდებით, მაგრამ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ბლოკი, ის ფინანსურ მხარდაჭერასა და კეთილდღეობასაც მოუტანს საქართველოს.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებითა და დემოკრატიის ასეთი ხარისხით ნატოს წევრობა წარმოუდგენელია. თუმცა ექსპერტები აქვე იშველიებენ ალბანეთის მაგალითს, რომელსაც საქართველოზე გაცილებით ცუდი დემოკრატია ჰქონდა, მაგრამ მაინც გაუხსნეს ნატოს კარები. რას იზამენ საქართველოს შემთხვევაში? — ძნელი სათქმელია.

მაგრამ პრეზიდენტი არ ამბობს, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის. მან მსოფლიოს ასევე მოუთხრო, როგორი ლიბერალური პრეზიდენტი და ადამიანის უფლებათა დამცველია ის, რომ ღრმად სჯერა დემოკრატიის. ამის საილუსტრაციოდ მან ოპოზიციის საპროტესტო აქციები მოიყვანა: „თქვენ ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც დედაქალაქიდან 32 კილომეტრში იდგეს ოკუპანტთა ჯარი და ამ დროს ოთხი თვის განმავლობაში პარალიზებული იყო პრეზიდენტის რეზიდენცია: მაგრამ მე ამისთვის ხელი არ შემიშლია და სხვაგან ვაგრძელებდი მუშაობას“, — განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა CNN-ის ჟურნალისტს.

**არ ვიცი, რა გათვლები ჰქონდა ოპოზიციას, რომელიც თვეების განმავლობაში ერთგულად იდგა ქუჩაში, მაგრამ, ალბათ, ყველაზე ნაკლებად სწორედ იმას თუ წარმოიდგენდა, რომ ამით პრეზიდენტს სატრაბახოდ მისცემდა საქმეს და ქულებს სააკაშვილის სასარგებლოდ ჩაწერდა. მაგრამ ასე კი მოხდა.**

CNN-ის ერთ-ერთ ძალიან საინტერესო გადაცემაში „დაუკავშირდი მსოფლიოს“ მიხეილ სააკაშვილი ერთადერთი პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელიც რესპონდენტის სტატუსით მონაწილეობდა. ჟურნალისტმა მას „ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი“ უწოდა, ხოლო საქართველოს „დასავლეთის ყველაზე ახალი პარტნიორი“, თუმცა ეს ის აქსიომაა, რომელსაც შეფასებას ვერ დავარქმევთ. მიშა მართლაც რომ ახალგაზრდაა, ხოლო საქართველო ყველაზე ძალიან დასავლეთისკენ ილტვის.

მთავარი ის არის, როგორ დაუკავშირდა სააკაშვილი მსოფლიოს და რა მესიჯები გაუგზავნა მას. ჩემი შეფასებით არც თუ ურიგო. საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და დიდ რუსეთსაც კი არ დანებდა; და ამავე დროს საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. ეს ორი პასაჟი უკვე საკმარისია მსოფლიოსთვის. რადგან მას არ ახსოვს საქართველოში მოკლული ახალგაზრდები, დანგრეული კერძო საკუთრებები, ჩამორთმეული ქონება, ცხვირგატეხილი ოპოზიციონერები, ბოლოს და ბოლოს, 7 ნოემბერი...

**7 ნოემბერი კი ის საკრალური თარიღია, როცა ოპოზიცია აქტიურ ქმედებებს იწყებს. ამჯერადაც ასე იქნება — საპროტესტო აქციები სწორედ იმ დღეს დაიწყება, როცა ორი წლის წინათ საქართველოს დემოკრატიის შუქურა გაითიშა... მაგრამ, ეტყობა, მსოფლიოს გულმავიწყობის სენი შეეყარა.**

**დაიწყებს საპროტესტო აქციებს ოპოზიცია? დაიწყოს, მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს არ ეშინია(!).**

**თეა მოსია**

აქცია

# დრო ჩვენ რას დაგვაკლებსო...

**მოძრაობა „7 ნოემბერი“ იმ ახალგაზრდების მკვლელობებს აპროტესტებს, რომლებიც უმოწყალოდ შეეწირნენ დღევანდელ პოლიტიკას. ახალგაზრდულმა მოძრაობამ პარლამენტის წინ კიდევ ერთი აქცია გამართა. ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებით, აუცილებელია შეიქმნას კომისია, რომელიც „პატრიოტის აქტის“ კანონპროექტზე მუშაობას გააკონტროლებს. კანონპროექტი პარლამენტში 14 ნოემბრამდე უნდა განეხილათ, მაგრამ მხოლოდ უმცირესობის წევრები გამოეხმაურნენ.**

**მოძრაობა „7 ნოემბრის“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი კორძაიას განცხადებით, აუცილებლად უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გირგვლიანის, გამცემლიძის და სხვათა მკვლელობებს.**

**ახალგაზრდებს პარლამენტიდან მხოლოდ კარლო კოპალიანი, გია ცაგარეიშვილი, ქრისტიან-დემოკრატები, უმრავლესობიდან — ნუგზარ წიკლაური და დავით დარჩიაშვილი გამოეხმაურნენ: კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეიქმნას, თუ მნიშვნელოვან საქმეს ეხებაო. ეტყობა, ახალგაზრდა ბიჭების სიკვდილი მათთვის მნიშვნელოვანი არ არის და ამ საქმის მიჩუმათებას ცდილობენო, — დასძინა ირაკლი კორძაიამ.**

**აქციის მონაწილეებს კიდევ ერთი მოთხოვნა ჰქონდათ — მათ გადაიღეს 25-წუთიანი ფილმი, რომელიც 2003 წლიდან დღემდე ქვეყანაში არსებულ ვითარებას და მკვლელობას ასახავს. მათ სურთ, ეს ფილმი ყველა ტელეარხზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდეს, რადგან ისინი კანონით ვალდებული არიან, რომ საზოგადოებას ფილმი გააცნონ. მოძრაობის ლიდერმა ჯაბა ჯიშკარიანმა ისიც გვითხრა, 7 ნოემბერი ქართველთა სოლიდარობის დღედ უნდა იქცესო.**

**ხელისუფლება კი, ვითომც არაფერიაო, დრო ჩვენ რას დაგვაკლებსო, იმ პრინციპით ცხოვრობს...**

**ხატია მუსერიძე**

# პაატა ბურჭულაძის დიდი მადლფენა




## საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა" 20 ოქტომბერს მსოფლიო ვარსკვლავებს უმასპინძლებს

2009 წლის 20 ოქტომბერს პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა" თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო აქციას გამართავს. მსოფლიოში აღიარებული პროექტით – „3 ტენორი" მაყურებლის წინაშე ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერის, ლა-სკალასა და ლონდონის კოვენტ გარდენის იტალიელი სოლისტები – მარკო ბერტი და რობერტო არონიკა და ცნობილი ქართველი მომღერალი ბადრი მაისურაძე წარსდგებიან. შესრულდება ქართველი მაყურებლისათვის ცნობილი და საყვარელი ნაწარმოებები, პროგრამაში შესულია ნეაპოლიტანური სიმღერები. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. საქველმოქმედო კონცერტი ტელემარათონის ფორმით წარიმართება, აქციაში მონაწილეობა ტელემაყურებელსაც შეეძლება, ნომერი 30-30 ქველმოქმედების მსურველი ყველა ადამიანისთვის ჩართული იქნება. ფონდი „იავნანა" უკვე ერთი წელია ყოველთვიურად ეხმარება აგვისტოს ომის შედეგად დაობლებულ 123 ბავშვს. 20 ოქტომბრის აქციით შემოსული თანხა აღნიშნული პროექტის გაგრძელებას მოხმარდება.

### მარკო ბერტი

მარკო ბერტი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ იტალიელ ტენორად მიიჩნევა. მარკოს კარიერა ლა სკალაში დაიწყო, სადაც მან მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ წარმოდგენებში – „ლუსია დი ლამერმოორი", „ბეატრიჩე დი ტენდა", „ბოჰემა", „რონდინი" და „მაკბეტი". მსოფლიო აღიარება მან მოიპოვა მაკდუფის პარტიის შესრულებით 1999 წლის ედინბურგის ფესტივალზე განხორციელებულ დადგმაში, რასაც მოჰყვა გამოსვლები მსოფლიოს საუკეთესო თეატრებში – კოვენტ გარდენი, ჰიუსტონის „გრანდ ოპერა", ბარსელონასა და ვერონას თეატრები, სეზონის გახსნა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში და სხვა.

### რობერტო არონიკა

რობერტო არონიკა დაიბადა რომში, სწავლობდა კარლო ბერგონცისთან, შემდეგ კი სიენას ჩიგიანას აკადემიაში. მისი დებიუტი შედგა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს „თეატრო მუნიციპალეს" სცენაზე, ვერდის ოპერაში „რიგოლეტო", რის შემდეგაც მუსიკალურმა კრიტიკამ არონიკა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ტენორად აღიარა. მას მუდმივად იწვევენ ისეთ საოპერო თეატრებში, როგორიცაა ლა სკალა, რომის ოპერა, ვენის სახელმწიფო თეატრი, ბერლინის „დოიჩე ოპერა", ბავარიის სახელმწიფო ოპერა, ლონდონის კოვენტ გარდენი, ბასტილიის ოპერა პარიზში, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერა, სან ფრანცისკოსა და ლოს ანჯელესის საოპერო თეატრები და სხვა.

### ბადრი მაისურაძე

1989 წელს ბადრი მაისურაძემ დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფესორ გოჩა ბეჟუაშვილის კლასი). მისი დებიუტი შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლში „მინდია", სადაც მან მთავარი პარტია შეასრულა. 1994 წელს ბარსელონასა და შვედეთში გამართულ ვოკალისტა კონკურსებზე ბადრი მაისურაძე 2 მთავარი პრიზის მფლობელი გახდა, რასაც მოჰყვა მისი წარმატებული საერთაშორისო კარიერა. ბადრი მაისურაძე მღერის მსოფლიოს უდიდეს საოპერო თეატრებში – მადრიდის სამეფო თეატრი, ბერლინის „დოიჩე ოპერა", ვენის სახელმწიფო თეატრი, მოსკოვის დიდი თეატრი და სხვა.

## 2008 წლის 13 აგვისტოდან პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა" აქციებს მართავს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და დაობლებული ბავშვების დასახმარებლად





2008 წლის 13 აგვისტოდან „იავნანა" თავის მხარდამჭერებთან ერთად სასწავლო დაწესებულებებში დროებით დაბინავებულ დაზარალებულ ოჯახებს ამარაგებს საკვები პროდუქტითა და პირველადი საჭიროების ნივთებით, მართავს კონცერტებს ბავშვებისთვის.

**აქციებში მონაწილეობდნენ – მედეა ჩახავა, კახი კავსაძე, ნანი ბრეგვაძე, რეზო ჩხიკვიშვილი, გივი ბერიკაშვილი, გურამ საღარაძე, ეკა მამალაძე და სხვა.**



**2008 წლის სექტემბერში პაატა ბურჭულაძე უარს ამბობს მოსკოვში დაგეგმილი საიუბილეო სოლო კონცერტის გამართვაზე, ჩამოდის საქართველოში და მისი მოწვევით თბილისის სპორტის სასახლეში, აგვისტოს ომის დროს დაზარალებული ოჯახებისა და დაობლებული ბავშვების დასახმარებლად ათასობით ანთებული სანთლის ფონზე ვერდის „რეკვიემს" მსოფლიო ვარსკვლავები ასრულებენ. აქციის შედეგად გრძელვადიანი ყოველთვიური დახმარება დაენიშნა ომის დროს დაობლებულ 123 ბავშვს, 4 ოჯახისთვის შეძენილი იქნა საკუთარი სახლი და 7 წლის დიტო რაზმაძე ფონდ „იავნანას" შვილობილი გახდა. დიტო რაზმაძემ გორის დაბომბვისას დაკარგა ფეხმძიმე დედა და მამა, მას „იავნანამ" ბინა შეუძინა და ვალდებულება აიღო 18 წლამდე გაუწიოს მეურვეობა.**





2008 წლის 24 სექტემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიასთან ერთად პაატა ბურჭულაძე, ლუჩიანა დინტინო, მიგელ გომეს-მარტინესი, რამონ ვარგასი, ოლგა რომანკო და პროექტის ორგანიზატორები ერთობლივ პრესკონფერენციას მართავენ.

პაატა ბურჭულაძე მსოფლიოში აღიარებულ დირიჟორთან მიგელ გომესმარტინესთან და მომღერალ ოლგა რომანკოსთან ერთად 2008 წლის 26 სექტემბერს ქალაქ გორში ჩადის და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას ხვდება. ფონდ „იავნანას" სახელით დევნილებს გადაეცათ საყოფაცხოვრებო ნივთები, გორის მუნიციპალიტეტს კი გადასანაწილებლად გადაეცა 599 ცალი საძილე ტომარა და 642 ცალი ლეიბი.





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №154

# ქართული ანდერგრაუნდი

***გასული საუკუნის ქართული ანდერგრაუნდის ჟურნალისტიკის დასაწყისი – 70-იან წლებში, იატაკქვეშეთში გამოცემული პირველი ჟურნალები „ოქროს საწმისი" და „საქართველოს მოამბე" ძირითადად ეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციას, რომელიც 1948 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა.***

***მეორდება თუ არ მეორდება დრო? რა დარჩა სამუდამოდ ისტორიის ქრონიკას, და ე. წ. თავისუფალი მედიის პირობებში რა არის ისევ აქტუალური?***

იატაკქვეშეთის პირველი ქართული ჟურნალები საერთაშორისო დეკლარაციის პრეამბულის ძირითადი საკითხებით მანიპულირებდნენ, როგორიცაა: *ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა... დაბრკოლების გარეშე დაეფუძნოს საკუთარ შეხედულებებს, აგრეთვე თავისუფლებას – ეძიოს, მიიღოს და გაავრცოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისგან დამოუკიდებლად... ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებების და ასოციაციების მოწყობისა, მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვისა... ყოველ მომუშავეს აქვს უფლება სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი საზღაურისა, რომელიც ღირსეულად უზრუნველყოფს ადამიანის არსებობას პირადად და ოჯახითურთ... და ა. შ.*

1968 წელს პირველად საბჭოთა კავშირში, მოსკოვში, გამოვიდა არალეგალური ჟურნალი „**მიმდინარე ამბების ქრონიკა**" (რედ. **ა. სახაროვი**).

1970 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა **„ადამიანის უფლებათა კომიტეტი"**, იმავე პერიოდში კი **„ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი"**.

1974 წელს შეიქმნა ადამიანთა უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში.

**ქართულ და რუსულ ანალოგ ორგანიზაციებს შორის ერთი არსებითი განსხვავება გახლდათ:**

**საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ თვითგამოხატვასაც – ეროვნული საკითხების წინ წამოწევასაც ნიშნავდა, რაც თვით რუსი დისიდენტებისთვისაც არ გახლდათ გასაგები და მისაღები. აქ ქართველ და რუს დისიდენტთა პოზიციები გაიყო.**

გადიოდა წლები და სხვადასხვა დროს, იატაკქვეშეთში მომზადდა და გამოიცა ქართული პერიოდული გამოცემები: **„უწყებანი", „თვალთაი", „პარდუ", „ქართული აზრი" „იბერია-ექსპრესი", „ახალი ერა" „საქართველოს სამრეკლო"** და ა. შ.

ჩვენი რუბრიკა **„ქართული ანდერგრაუნდი"** პერიოდულად შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს „არალეგალურ ლიტერატურად" წოდებული იმ პერიოდიკიდან, რომელიც გამოდიოდა ექსტრემალურ, უმძიმეს პირობებში, ხოლო რედაქტორები თუ ავტორები მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ.

რა იყო მათი მიზანი? რა შედეგებს გვიჩვენებს აწმყო დრო – გადაჭრა თუ არა რიგი საკითხებისა ქართულმა ანდერგრაუნდმა? რა ადგილი უჭირავს მათ ჟურნალისტიკის ისტორიაში? დასკვნებს ჩვენი გაზეთის მკითხველი თავად გამოიტანს. ჩვენ მათ გამოხმაურებებსაც ველით.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ჟურნალიდან **„საქართველოს მოამბე"** (რედაქტორი ზვიად გამსახურდია).

## თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდები

„1975 წლის მიწურულს თბილისის სახელმწიფო უნვიერსიტეტის სასწავლო ნაწილის თანამშრომელმა მარიკა პირველმა დაიბარა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი **მარიკა ლორთქიფანიძე** და უთხრა: ამას წინათ რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენს ფაკულტეტზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაიკითხოთო. მ. ლორთქიფანიძემ დიდად გაიოცა ასეთი წინადადება და აღშფოთება გამოსთქვა. თუ არ გჯერათ, რექტორთან შევიდეთ და თავად გეტყვითო, უთხრა მარიკა პირველმა. რექტორი მოსკოვში აღმოჩნდა წასული (როგორც ჩანს, რუსიფიკაციის ახალი ინსტრუქციების მისაღებად). რექტორმა ჩამოსვლისთანავე დაიბარა პროფ. მ. ლორთქიფანიძე და ჰკითხა, რად მიწყობთ ობსტრუქციასო. მაშინ ლორთქიფანიძემ უთხრა: თუ მიგაჩნიათ, რომ სწორი არა ვარ, მოვიწვიოთ დიდი საბჭო და გამოჩენილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა, პროფესორებმა გადაწყვიტონ ეს საკითხიო. ჩხიკვიშვილმა უთხრა: ჭკუაში ნუ მატყუებთო. მე ის კი არ მითქვამს, სწავლა იყოსმეთქი რუსულად, არამედ, ვთქვი, რუსეთიდან მოვიწვიოთ-მეთქი გაცვლის წესით ლექტორები.

ამის შემდეგ ჩხიკვიშვილმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო სათითაოდ დაბარება ფაკულტეტის დეკანებისა. 1976 წლის 15 იანვარს დაიბარა: ჟიჟიაშვილი (მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი), **ლომსაძე** (ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი), **ჩანტლაძე** (პოლიტეკონომიის კათედრის გამგე), **ლეკვეიშვილი** (იურიდიული ფაკულტეტის დეკანი), **ა. სურგულაძე** (ისტორიის ფაკულტეტის დეკანი) და განუცხადა მათ, რომ საჭიროა ზოგიერთი საგნის რუსულად წაკითხვა რუსული ენის უკეთ შესასწავლად. სტუდენტები რომ ამთავრებენ უნივერსიტეტს, ენის უცოდინარობის გამო ვერ მიდიან რუსეთში სამუშაოდო. თან ყველა ეს პირი გააფრთხილა: მ. ლორთქიფანიძეს არ შეატყობინოთ, რომ მე დაგიბარეთო ამ საკითხზე.

რუსიფიკაციის ესოდენ დაურიდებელმა ცდამ განცვიფრება გამოიწვია ფაკულტეტის დეკანებსა და პროფესორებს შორის, თუმცა ყველას როდი ეყო მოქალაქეობრივი გაბედულება, რომ პროტესტი განეცხადებინა. მხოლოდ ნაწილმა განაცხადა მტკიცე უარი. ასეთები იყვნენ მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი **ო. ბაქანიძე,** იურიდიული ფაკულტეტის დეკანი **მ. ლეკვეიშვილი.** ამ უკანასკნელმა მთელი მგზნებარებით დაასაბუთა, რომ რუსულ ენაზე კითხვა ლექციებისა ეროვნულ უნივერსიტეტში დაუშვებელია. მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა **ლ. ჟიჟიაშვილმა** განუცხადა რექტორს: სიტყვა „ინტეგრალს" რუსულად ვიტყვი თუ ქართულად, მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ წინააღმდეგი ვარო ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვისა. პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ, **ჩანტლაძემ** განაცხადა: სანამ მე აქ ვარ, ეს არ მოხდება. თუ ენების შესწავლაზე მიდგება საქმე, მე მყავს სპეციალისტები, რომლებიც გერმანულად და ინგლისურადაც წაიკითხავენო ლექციებს. კატეგორიული წინააღმდეგი იყო აგრეთვე ლექციების რუსულ ენაზე წაკითხვისა **ლომსაძე** (ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი)... **მარიკა ლორთქიფანიძე შევიდა რექტორ დ. ჩხიკვიშვილთან და უთხრა: ან მე დავტოვებ უნივერსიტეტს ან თქვენო.** ჩხიკვიშვილი ამშვიდებდა: ქ-ნო მარიკა, თქვენს კათედრას ხომ არ ეხება, თქვენ რა გაწუხებთო. ამაზე მ. ლოთქიფანიძემ მიუგო: ყველაფერი, რაც უნივერსიტეტში ხდება, მე მეხებაო. ჩხიკვიშვილი უკან დახევის გზას დაადგა და დაამშვიდა: კარგი, კარგი, რახან არ გინდა, შევწყვიტოთ ამაზე საუბარიო...

ცხადია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველივე ამით ნიადაგის ზონდირება მოახდინა და რა დაინახა, ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა, ჯერჯერობით უკან დახევის ტაქტიკა არჩია.






## საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა

*როგორც ცნობილია, საბჭოური კონსტიტუცია აცხადებს ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში, თავის მხრივ არც ეკლესიას აქვს უფლება სახელმწიფოს საქმეებში ჩარევისა. ეკლესიის მხრივ ეს წესი სავსებით დაცულია, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი არა მხოლოდ ერევა ეკლესიის საქმეებში, არამედ გადააქცია იგი თავისადმი ყველაზე უფრო დაქვემდებარებულ დაწესებულებად. კულტურული თუ სამეურნეო ცხოვრების არც ერთი სფერო არ იმყოფება ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების ისეთი მკაცრი კონტროლის ქვეშ, როგორც ეკლესია. ეს კონტროლი არაოფიციალურია, ფარულია და მით უფრო ეფექტური.*

*ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია ზემოთქმულის დასადასტურებლად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა.*

*საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე დაიწყო უსასტიკესი რეპრესიები სამღვდელო პირთა მიმართ. 1922 წელს დააპატიმრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი* ***ამბროსი (ხელაია),*** *რადგანაც მან მისწერა წერილი გენუის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც ამხილა წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და საბჭოთა რუსეთისთვის ძალით შეერთება 1921 წელს. პატრიარქი მალე გარდაიცვალა ციხიდან გამოსვლის შემდეგ (1925 წელს). 1924 წელს ქუთაისში დახვრიტეს ეპისკოპოსი* ***ნაზარი (ლეჟავა),*** *აჯანყებულთა თანადგომისათვის. 1924-37 წლებში განადგურებულ იქნა ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი, დაიკეტა და დანგრეულ იქნა მრავალი ეკლესია. იმხანად სახელმწიფოს მთავარი მიზანი იყო საეკლესიო ქონების მიტაცება და ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოების განადგურება. თუმც, დიდხანს ვერ მოხერხდა ეს. 50-იან, თვით 60-იან წლებშიც შეიძლებოდა ნახვა სამღვდელოების რიგებში ჭეშმარიტად რწმენისთვის თავდადებული, უანგარო ადამიანებისა, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქრისტიანულ იდეალს. ასეთები იყვნენ მაგალითად, პატრიარქი* ***კალისტრატე (ცინცაძე),*** *მღვდელები:* ***ალექსანდრე (გაზუნია), პართენი*** *და სხვანი. ისინი მტკიცედ იდგნენ რწმენაზე, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა და შევიწროებისა ხელისუფლების მხრივ (წამება, დაპატიმრება, შანტაჟი, თვალყურის დევნება, პროვოკაციები, ჭორის გავრცელება, ქადაგების აკრძალვა, მძიმე გადასახადები და სხვა). მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ეკლესიის შიგნიდან გახრწნა, მის რიგებში შენიღბული აგენტების შეგზავნა (ამ პროცესს ზოგიერთნი* ***„წითელი სამღვდელოების"*** *შექმნასაც უწოდებენ...*

## არტილერია ანადგურებს ფრესკებს

**(დავით გარეჯის მდგომარეობა)**

1976 წლის მარტში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიამ განიხილა დავით გარეჯის მდგომარეობის საკითხი. კომისიაზე ცნობა წარმოადგინა **გურამ აბრამიშვილმა.** აი, მისი სრული ტექსტიც:

„ცნობა დავით გარეჯის მდგომარეობის შესახებ.

დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსებისა და კლდის მხატვრობის მრავალრიცხოვანი ნიმუშის დაცულობა საგრძნობლად გაუარესდა მას აქეთ, რაც ყარაიას ველზე სამხედრო პოლიგონმა დაიწყო მოქმედება.

პოლიგონის ასაფეთქებელი მოედნები უშუალოდ ეკვრიან ბერთუბნის, უდაბნოსა და ნათლისმცემლის მონასტრებს, რომელთა საფასადო მხა-

რე პოლიგონისკენ არიან მიმართულნი და აფეთქებებისაგან გამოწვეული მძლავრი ტალღები დაუბრკოლებლად აღწევენ სამონასტრო კომპლექსების მრავალრიცხოვან ღიადებში. გარდა ამისა, ხშირად, ალბათ უნებლიეთ, ეს მონასტრები ყუმბარების სამიზნე ობიექტებიც გამხდარან.

პოლიგონის წინ ჩამწკრივებული სამონასტრო კომპლექსები, რომლებსაც VI საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი, საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთ უბრწყინვალეს ძეგლებს წარმოადგენენ. გარეჯის სამხატვრო სკოლაში შექმნილი კედლის მხატვრობის ნიმუშებს, რომელთა მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა კარგა ხანია ცნობილია, როგორც ჩვენთან, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, **პოლიგონის გამო გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება.**

ჭურვების აფეთქებით გამოწვეული ვიბრაციის შედეგად კატასტროფულად დაზიანდა თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ფრესკული პორტრეტები ბერთუბნის მთავარ ეკლესიაში. 1952 წელს, როდესაც პირველად ვნახე ეს მხატვრობა, თამარისა და ლაშას პორტრეტები და საერთოდ, ბერთუბნის მოხატულობა, შედარებით კარგად იყო დაცული. პოლიგონის სისტემატურმა მოქმედებამ, დროთა განმავლობაში ძირეულად დააზიანა და დაღუპვის პირას მიიყვანა ეს უნიკალური ფრესკული პორტრეტები და მრავალმხრივ საყურადღებო კომპოზიციები. თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ფრესკული პორტრეტის წელს ქვემოთა ნაწილი მთლანად ჩამოიშალა და სამუდამოდ დაიღუპა. ამის გამო იყო, რომ სასწრაფოდ ჩამოხსნეს, რადგან მისი მთლიანად დაღუპვა გარდაუვალი იყო. ამჟამად ეს დაზიანებული და ნაკლული ფრესკა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ამავე მიზეზით მთლიანად დაზიანდა ბერთუბნის მთავარი ტაძრის დასავლეთ მონაკვეთში არსებული გრაფიკულ მანერაში შესრულებული კედლის მხატვრობის ნიმუში, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიაში ერთადერთ მაგალითს წარმოადგენს. საგრძნობლად დაზიანდა ბერთუბნის სატრაპეზოს მხატვრობა, განსაკუთრებით, „წმინდა სამება“, რომლისგანაც თითქმის აღარაფერი დარჩა.

აფეთქების შედეგად გამოწვეული მძლავრი რხევა განსაკუთრებით საშიშია ბერთუბნის მთავარი ეკლესიისთვის, რომლის ნახევარზე მეტი ჩამონგრეულია და კედლის რამდენიმე მონოლითსღა უჭირავს კლდეში ნაკვეთი ეკლესიის თაღის დარჩენილი ნაწილი. ასევე დიდ საფრთხეს უქმნის აფეთქებანი უდაბნოს მონასტერს, რომლის მთავარი ეკლესია, სატრაპეზო და საერთოდ, ამ მონასტრის მრავალრიცხოვანი ეკლესია-სენაკები საავარიო მდგომარეობაში არიან.

საყურადღებოა, რომ გარეჯის მრავალმთის ის სამონასტრო კომპლექსები, რომლებიც პოლიგონის ზონაში არ იმყოფებიან (ქვაბები, პირუკუღმა მთა, ბერების სერი, თეთრი სენაკები და სხვა) როგორც კლდეში ნაკვეთი მონასტრები, ისე მათი კედლის მხატვრობა, გაცილებით უკეთაა დაცული და დაზიანების არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

დასკვნა ერთადერთია: გარეჯის მრავალმთის „ათორმეტ მონასტერთა დაცვისათვის უპირველესი პირობაა სამხედრო პოლიგონის გადატანა მონასტრებისაგან მოშორებით, თუნდაც, იმავე ყარაიას ველზე, სადაც მრავალია სრულიად დაუსახლებელი ტერიტორია.

**ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელი, პროფ.**
**გურამ აბრამიშვილი.**
**თბილისი, 9 მარტი, 1976.**

**(გაგრძელება იქნება)**

***რამდენიმე თვეა სოციოლოგიური გამოკვლევის სამწუხარო შედეგს ახმოვანებენ სატელევიზიო არხები: ახალგაზრდების წიგნიერების მიხედვით, ჩვენს სამშობლოს – საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უკანასკნელი ადგილი უკავია...***

***წარსულს ჩაბარდა საუბრები თემაზე: „არის მკითხველი მშვენიერი წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“... (გალაკტიონი)... აღარც მკითხველი და აღარც გადამკითხველი... ცხოვრების აჩქარებული რიტმი ყოფის სხვაგვარ წესს აყალიბებს, სადაც წიგნი „Email“-ებითა და „SMS“-ებითაა ჩანაცვლებული. ჩვენს სამშობლოში „უცხოსადმი“ და „უცხოურისადმი“ დამოკიდებულება თვით სიტყვის ეტიმოლოგიაშია ჩადებული: საუცხოო – ე. ი. საუკეთესო... მაგრამ უწიგნურობის დარგში რატომ გადავაჭარბეთ უცხოეთის ყველა ქვეყანას? რა უკიდურესობის ზღვართან მივედით, სად დაირღვა ჩვენი წონასწორობა?***

***ასევე წარსულს ჩაბარდა ეპითეტებიც წიგნის მნიშვნელობასა და როლზე, რამდენიმე თაობას რომ ესმოდა, როგორც მაღალი გემოვნების სტანდარტების გამოხატულება.***

# ცხოვრება „უწიგნო სახლებში“



თითქოს უკვე არქაულად ჟღერს ამგვარ სიტყვათა შეთანხმებანი:

„ცოდნის დაუშრეტელი წყარო“, „უძირო ზღვა“, „ერთგული მეგობარი და საუკეთესო მრჩეველი“, „სიბნელის გამნათებელი“, „კეთილშობილების, სიკეთის, სათნოების სათავე“, „ჭირსა და უბედურებაში გამამხნევებელი“, „ჯადოსნური, ზღაპრული სამყარო“...

გავიხსენოთ პეტრესა და მღვდლის დიალოგი **„გლახის ნაამბობიდან“:**

*„ – მე რომ გიჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიანი კაცის ცოდნა თუ მონდომება სულ მუდამ ხელთ გქონდეს, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა შორიდანვე დაგალაპარაკო... რას იტყვი?*

*– იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება!*

*– აბა, მაგისთანა მისანია წიგნი“.*

დიახ, სწორედ რომ მისანია წიგნი, განუზომელია მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.



წიგნი რომ არა, დღეს კაცობრიობა ახალფეხადგმულ ბავშვს დაემსგავსებოდა, რომელსაც მხოლოდ ტაატით შეუძლია სიარული.

XXI საუკუნეში თუმცაღა, ინფორმაციის მრავალი წყარო – საშუალება არსებობს: ტელევიზია, კომპიუტერი, თეატრი, კინო, რადიო... წიგნი არის და მომავალშიც დარჩება ცოდნის, განათლების პირველწყაროდ.

წიგნი რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელშიც მთლიანობაშია შერწყმული აზრი და სიტყვა, მეცნიერება და ხელოვნება, ცალკეულ პიროვნებათა თუ საზოგადოების სულიერი ცხოვრება, იდეოლოგიის, ესთეტიკის, მორალის საკითხები.

არსებობს გამოთქმა: **„უწიგნო სახლი უსულო სხეულს ჰგავს“.** წიგნს ხშირად ძვირფას ნივთს, კეთილშობილ ქვას ადარებენ. მართლაც, ბევრი საერთოა წიგნსა და განძს შორის, მაგრამ მათ შორის სხვაობაცაა. წიგნი ისეთი სიმდიდრეა, რომელიც სხვას ავსებს, ამდიდრებს, თვითონ კი არც რა აკლდება.

წიგნს ძალიან საინტერესო თავგადასავალი აქვს. მისი დაბადება ადამიანის დაბადებას ჰგავს, როგორც ბავშვი დედის ზრუნვით, ისევე წიგნი მისი „მშობლის“ – ავტორის გულით და გონებით იკვებება. უძილო ღამეები, ნამდვილის შეცნობით, შემოქმედებითი მიგნებებით გამოწვეული სიხარული, ზოგჯერ ფურცლის წინაშე საკუთარი უძლურების, სისუსტის შეგრძნება... დაბადების შემდგომ კი წიგნი ისევე განაგრძობს დამოუკიდებელ სიცოცხლეს, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი...

საბოლოოდ წიგნის ბედს მკითხველი განსაზღვრავს. ყველა წიგნის ხვედრი ერთნაირი როდია.

დღეს, ჯერ კიდევ შემორჩენილი ბიბლიოთეკების დამტვერილ თუ დაუმტვერავ თაროებზე თითქმის ხელუხლებლად დევს ყველაზე საუკეთესო წიგნები! რა მოხდა?

წიგნი თანდათან გააქვთ სახლებიდან... ქუჩებში, გადასასვლელებზე, მოედნებზე იყიდება ქართველი ინტელიგენციის ბიბლიოთეკები, ე. წ. **„მეორადი წიგნები“,** ჩამოფასებული კლასიკოსები... სოციალურმა გარემომ ამგვარი რეალობის წინაშე დაგვაყენა. წიგნებისგან, როგორც ზედმეტი ტვირთისგან, ცარიელდება ქართული ოჯახები.

მეთოდური საუბრები, თუ რა და როგორ წავიკითხოთ, აღარსად ისმის, რომ წიგნის შერჩევა ცალკე ხელოვნებაა და ცოდნას, გამოცდილებას და ინტუიციას მოითხოვს... დიდი მნიშვნელობა აქვს რომელ ასაკში რას წავიკითხავთ და იმის გაგებას, რომ კითხვისას რაოდენობა არ არის მთავარი...



დიდი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი წერდა: **მე ხშირად სწრაფად, განურჩევლად, ანგარიშგაუწევლად ვკითხულობდი და ძალზე გავოცდი, როცა გამოირკვა, რომ არაფერი ვიცოდი...**

იქნებ ჩვენს ბავშვებს ჩვენივე რეკომენდაციები მოაკლდა: წაკითხულის მხოლოდ ამბით (სიუჟეტით) არ შემოიფარგლო, ეცადე ღრმად ჩასწვდე აღწერის არსს, ავტორის მიზანს, მხატვრულ თავისებურებებს...

იქნებ ეს ყველაფერი რომ გვესწავლებინა, აღარ დააკმაყოფილებდათ მხოლოდ ინტერნეტ-ინფორმაციები...

სად გავუშვით ხელი ახლადფეხადგმულ ბავშვს, ანუ სად და როდის მივატოვეთ ჩვენი ახალგაზრდები წიგნის გარეშე, უწიგნო სახლებში...

ევროპის ქვეყნებში, სადაც ამ თვალსაზრისით, ჩვენზე უკეთესი მდგომარეობაა (სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად), დიდი განგაში აქვთ ატეხილი ფსიქოლოგებს, განათლების მეთოდისტებს. ისინი თვლიან, რომ წიგნს ჩამოცილებულმა ახალგაზრდებმა დაკარგეს შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი. ევროპაში მიმდინარეობს ამ პრობლემის შესწავლა, მეცნიერული დეფინიცია, ახალი გზების ძიება...

* * *

ქართული წიგნი საუკუნეებს ითვლის, საქართველოს ისტორია დასტურია იმისა, რომ ქართველი კაცი ომსა და ავბედობისას, ტყვეობაში ყველაფერს თმობდა, წიგნს კი ვერ ელეოდა. ის იყო მისი ნუგეში.

გადაფურცლოთ უძველესი ქართული ხელნაწერები, პირველი ნაბეჭდი წიგნები და ნახეთ, როგორი ნიჭი, რამდენი შრომა, მონდომება, სითბოა მათში ჩაქსოვილი?!

ძველი წიგნების დღემდე შეუცვლელი ვარაყები და განუმეორებელი ორნამენტები, ასომთავრულით გამოყვანილი სიტყვები სვეტიცხოვლის, გელათის, ვარძიის, სამთავისის, ნიკორწმინდისა და სამების ხუროთმოძღვრებს, ჩუქურთმის მჭრელებს შეეჭიბრება. ოქროსა და ვერცხლის ყდებში ჩამჭდარი ძვირფასი ქვებით მოჭედილი წიგნები, ჩვეულება – მზითევში წიგნის გატანება – წიგნისადმი ქართველის უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემაზე მეტყველებს.

წიგნს მრავალჯერ დაუდგამს ადამიანისთვის უკვდავების ძეგლი.

საქართველოში ხალხმა ძეგლი აუგო ამაგდარ მეფეს, გამოჩენილ მეცნიერს, პოეტს, მწერალს, კომპოზიტორს, მხატვარს, „ხელოვნების მუზას“, „ქართვლის დედას“ და წიგნს – **„დედა ენას“,** როგორც სიმბოლოს ხალხის უშრეტი სიბრძნის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის, ერთსულოვნების და მშვიდობის...

სად დაიკარგა ეს კარგი და სასახელო ტრადიციები?

დღეს წიგნიერების, ნაკითხობის დონის შემოწმებისას **ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ სავალალო შედეგი აჩვენა.** მათ ავიწყდებათ ან არ იციან, რომ მხოლოდ ცოდნაშია ხსნა. წიგნს შეუძლია აღზარდოს სულიერად ძლიერი, გონიერი, პატიოსანი, ქვეყნისა და მოყვასის მოყვარული, სრულყოფილი ადამიანი, მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ ამ ცნებათა აუცილებლობას და ოდენ დიდაქტიკურ რიტორიკად ეჩვენებათ იგი!

**ნუთუ, საქართველოს მომავალი თაობა „უწიგნო სახლებში“ ცხოვრებისთვის არის განწირული? ნუთუ არ არსებობს „გზა ხსნისა“ და თუკი არსებობს, იქნებ ერთად ვეძებოთ ეს გზა, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ უკვე ყველაფერი ვიღონეთ...**

იქნებ ტრადიციული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები გამოგვეხმაურონ... შეიძლება მათ უკეთ წარმოუდგენიათ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი, ანუ იციან ის, რაც ჩვენ არ ვიცით...

ერთად ვეძიოთ გზები...

**ეთერ გულდამაშვილი**



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველო კლინტონისგან არასაკმარის მხარდაჭერას იღებს იმ დროს, როდესაც რუსეთი ტერმინებს სულ უფრო ამკაცრებს

**ამ კვირაში მოსკოვში ვიზიტად მყოფი ჰილარი კლინტონის საქართველოს მხარდამჭერმა სიტყვებმა ვერ გაფანტა შიში, რომელიც თბილისში ტურბულენტურ კავკასიაში მოსკოვის მისწრაფებებთან დაკავშირებით არსებობს.**

თბილისს შიშის ტალღამ გადაუარა, როდესაც კლინტონის მოსკოვში ვიზიტის დროს რუსეთის ორმა გავლენიანმა ფიგურამ ჩრდილოეთ კავკასიაში მათსავე რთულ რესპუბლიკებში აჯანყებულებთან ბრძოლის კონტექსტში განცხადებები გააკეთა, რაც არ არის გამორიცხული, რომ მეზობელ საქართველოზეც აისახება.

ბრძოლა, რომელიც ადრე ჩეჩნეთით შემოიფარგლებოდა, დღეს მოსკოვის უსაფრთხოების ძალებსა და ადგილობრივ მებრძოლებს შორის ისეთივე ინტენსივობით სხვა რუსულ რეგიონებშიც — დაღესტანსა და ინგუშეთშიც — მიმდინარეობს. იქ პოლიციას და ჯარისკაცებს ყოველდღიურად ესხმიან თავს, მაღალი რანგის ჩინოვნიკები კი ხშირად სამიზნეებს წარმოადგენენ.

რუსეთის პრეზიდენტი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ გაზაფხულზე ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციების დასრულებაზე განცხადება დროზე ადრე გაკეთდა. რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ კავკასია ახლა ალ-ყაიდასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საერთაშორისო ისლამისტ მებრძოლთა სამიზნეა. თუმცა, მაინც მოულოდნელი იყო, როდესაც რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს საიდუმლო დაზვერვის ხელმძღვანელმა თბილისი ალ-ყაიდასთან თანამშრომლობასა და რუსეთზე თავდასხმებში მონაწილე მებრძოლთა დახმარებაში დაადანაშაულა.

„ჩანაწერები, რომლებიც მოხალისეებს ჩამოერთვათ, აჩვენებს, რომ ალ-ყაიდას ემისრებთან ერთად, მათ კავშირი აქვთ საქართველოს საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლებთან“, — განაცხადა ალექსანდრე ბორტნიკოვმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ გზით, თბილისი „მონაწილეობს ტერორისტების წვრთნასა და მათ გადაყვანაში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე“.

მან საქართველო იმაშიც დაადანაშაულა, რომ „იგი მუდმივად აგზავნის იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს და აფინანსებს ანტისამთავრობო აქტებს დაღესტანში უსაფრთხოების მაღალი დაცვის ზონებში — პირველ რიგში, ნავთობისა და გაზის მილსადენებთან“.

საქართველომ, რომელიც ენერგორესურსების ექსპორტის თვალსაზრისით საკვანძო მარშრუტია და მისი სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის გამო რუსეთთან შარშანდელი დამანგრეველი ომის შემდეგ ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პროცესშია, ბრალდება სწრაფად უარყო. „მიზანი ისედაც დაძაბულ სიტუაციაში ტემპერატურის ზრდაა“, განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა.

„იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გადაწყვეტს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების განხორციელებას, ის მსგავს ბრალდებებს საბაბისთვის გამოიყენებს. ეს არის ის, რის გამოც საერთაშორისო გაერთიანებამ ამ განცხადებებს ყურადღება უნდა მიაპყროს და მიუთითოს, რომ მსგავსი განცხადებები დაუშვებელია.“

საქართველო ჩეჩნეთს, დაღესტანს და ინგუშეთს კავკასიის მთებით ესაზღვრება და აჯანყებულები იქ თავს დაცულად მანამდეც გრძნობდნენ. 2001 წელს რუსეთმა დაბომბა საქართველოს პანკისის ხეობა, სადაც მთიანი ულელტეხილებიდან გზა ქვევით, იმ ტერიტორიისკენ ეშვება, სადაც ქისტებით - ეთნიკური ჩეჩნებით - დასახლებული სოფლებია, რომლებიც საქართველოში მე-19 საუკუნეში დასახლდნენ და რომელთა ენაც და კულტურაც ჩეჩნურის მსგავსია. იმ დროს ხეობას ჩეჩენი აჯანყებული მებრძოლები გადაჯგუფების, ხელახლა შეიარაღებისა და ჭრილობების მოშუშების ადგილად იყენებდნენ, და, როგორც ჩანს, ეს საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თანხმობის გარეშე არ ხდებოდა. სავარაუდოდ, ის მათ ხეობის ბაზად გამოყენების ნებას, აფხაზეთში (რუსების მიერ მხარდაჭერილ საქართველოს მეორე სეპარატისტულ რეგიონში) რეიდების განხორციელების სანაცვლოდ რთავდა.

პუტინი და მედვედევი ახლა უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, როდესაც ჩვეულებრივ მათი უნიათო პარლამენტი, სადაც რამდენიმე პარტია ცნობილია ლიდერებისადმი მათი მონური ლოიალობით, აცხადებს, რომ ისინი პალატაში ბოიკოტირებას მოახდენენ, თუ პრეზიდენტი მათ, ამ შაბათ-კვირას თაღლითურად ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების განსახილველად არ შეხვდება.

მოსკოვის სამხედრო გეგმებთან დაკავშირებული შიშები კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ კრემლმა ისეთ ომებში, როგორიც შარშან საქართველოში იყო, შეიძლება ბირთვული იარაღი გამოიყენოს. „ბირთვული შეიარაღების გამოყენების პირობები ჩვეულებრივი შეიარაღებისგან მომავალი აგრესიის ასალაკვეთად, არა მხოლოდ ფართომასშტაბიან, არამედ რეგიონულ და ლოკალურ ომებში, შეიძლება გადახედილ იქნეს“, — განაცხადა მან. „ეროვნული უსაფრთხოებისთვის კრიტიკულ პირობებში, არ არის გამორიცხული აგრესორის მისამართით პრევენციული ბირთვული დარტყმის გამოყენებაც“.

ჰილარი კლინტონს მოუწევს ამ კომენტარების დროულობის და შინაარსის გათვალისწინება მაშინ, როდესაც აშშ-ს და რუსეთის მომლაპარაკებლები ბირთვულ შეიარაღებაზე დეკემბერში მიღწეული შეთანხმების რეალიზაციას ცდილობენ და როცა კრემლი ერთგვარ ეჭვებშია ანტისარაკეტო თავდაცვით ფარზე ვაშინგტონის გეგმებთან დაკავშირებით. ირანის ბირთვულ პროგრამაზე რუსეთისგან უფრო მკაცრი პოზიციის მოპოვების მიზნით კლინტონმა საქართველოს მიმართ პოზიცია შეარბილა, გაიმეორა მხოლოდ მისი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აშშ-ს მხრიდან მისი ჯარის წვრთნის გაგრძელებისა და გახლეჩილ ქვეყანაში მუდმივი სამშვიდობო მისიის არსებობასთან დაკავშირებით.

მაშინ, როდესაც რუსეთი მთელი ძალით ცდილობს, კავკასიაში საკუთარ რეგიონებს გაუმკლავდეს და ეძებს, როგორმე საკუთარი პრობლემები ვინმეს გადააბრალოს, საქართველო თავისი ყველაზე ძლიერი მოკავშირისგან, ალბათ, უფრო გაბედულ სიტყვებს ელოდა, რადგან ის ერთი ომის შემდეგ გონზე მოსვლას, ხოლო მეორის თავიდან აცილებას ცდილობს.

**დენ მაკლაფლინი**

**THE IRISH TIMES**

# ჟენევის დიალოგი საქართველოსთვის პროდუქტიულია

**ჟენევის მოლაპარაკებანი სამხრეთ კავკასიაში 2008 წელს მომხდარი ხუთდღიანი ომის ყველა მხარის და შუამავლების მონაწილეობით შედის მეორე ფაზაში. პირველი შვიდი რაუნდის განმავლობაში მოხერხდა, შექმნილიყო პრევენციული რეაგირების მექანიზმი, აგრეთვე კავშირგაბმულობის „ცხელი ხაზი“.**

მერვე რაუნდისგან, რომელიც სტარტს იღებს 11 ნოემბერს, ელოდებიან რეგიონში ახალ შეთანხმებას უშიშროებისა და ჰუმანიტარული საკითხების დარგში — ამჟამად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნაწილობრივად აღიარებული რეგიონების საზღვრები ხშირად დახურულია საერთაშორისო მისიებისა და ტვირთებისთვის.

მოლაპარაკება ჟენევაში დაიწყო ჯერ კიდევ 2008 წლის 15 ოქტომბერს 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დაიდო საფრანგეთის შუამავლობით — მაშინ იგი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო. ეს მოლაპარაკება, რომელსაც ოფიციალურად „საერთაშორისო დისკუსიები“ ეწოდებოდა, დაიწყო ჟენევაში გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს მაღალი წარმომადგენლების შუამავლობით. პირველი რაუნდიდან არსებობს ორი სამუშაო ჯგუფი: ერთი — უშიშროებისა და სტაბილურობისა, მეორე ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორივე ჯგუფის მუშაობაში.

დიალოგი რეგულარულ საფუძველზე ემყარება პოსტკონფლიქტურ საკითხებს, მიუხედავად ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო. მოსკოვმა 26 აგვისტოს აღიარა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად შეიძლება დავასახელოთ ეუთოსა და გაეროს მისიის დახურვა 2008 წლის დეკემბერში და 2009 წლის ივნისში შესაბამისად. მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფები აგრძელებდნენ მოლაპარაკებას.

მთავარი კონკრეტული შედეგი ჟენევის დისკუსიისა არის მიმდინარე წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება მოწესრიგების ორმაგი მექანიზმის ამოქმედებისა და ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი გახდა მხარეთა რეგულარული კონტაქტები. მათი მიზანია რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება. ამას გარდა შეიქმნა „ცხელი ხაზი“, როგორც მუდმივი კავშირგაბმულობის საშუალება.

სირთულეები რჩება ჰუმანიტარულ საკითხთან დაკავშირებით. ახალი მერვე რაუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იქნება სწორედ ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი უზრუნველყოფა როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი წერს, რომ სოხუმისა და ცხინვალის შუამავლების ვიზიტმა საშუალება მისცა მათ, გადააფასონ უშიშროების განმტკიცების შესაძლო ვარიანტები და გააუმჯობესონ ჰუმანიტარული ვითარება.

ჟენევა რჩება ერთადერთ ადგილად, სადაც შარშანდელი კონფლიქტის მხარეები კონტაქტში არიან ერთმანეთთან და აწარმოებენ მოლაპარაკებას. ეჭვგარეშეა, რომ დაძაბულობა ჯერ არ არის მოხსნილი, მაგრამ მოთმინება და მიზანმიმართულობა საშუალებას მოგვცემენ, მივაღწიოთ წარმატებას.

**პიერ მორელი**

**Guardian**

## დედამიწის ზურგზე



**ორი ამერიკული გამანადგურებელი ატლანტიკის თავზე ერთმანეთს შეეჯახა**

ინციდენტი მოხდა სასწავლო გაფრენის დროს. შეჯახების შემდეგ ერთმა პილოტმა შეძლო თავისი F-16 დასმა ჩარლსტონის ავიაბაზაზე, მეორე დაიკარგა უგზოუკვლოდ. მფრინავს ეძებენ ნაპირიდან დაახლოებით 50 კილომეტრზე, სამაშველო ოპერაციამ წარმატება არ მოიტანა.

* * *

**მედვედევი ჩავიდა ყაზახეთში ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების სწავლებაზე**

მედვედევთან ერთად სწავლებაში მონაწილეობას ღებულობენ ყაზახეთის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი, ყირგიზეთის პრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი, ტაჯიკეთის ხელმძღვანელი ემომალი რახმანოვი და სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქსიანი. სწავლებაზე არ ჩავიდნენ უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი და ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო.



* * *

**ჩინეთმა დაუსახელა აშშ-ს შვიდი დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლიან ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებას**

მოთხოვნები ძირითადად სამხედრო ხასიათისაა და პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ტაივანისთვის შეიარაღების მიწოდების შეწყვეტას. ეს უკანასკნელი კი უკვე მესამე წელია სთხოვს ამერიკას, მიჰყიდოს მას 66 ავიაგამანადგურებელი F-16. ბუშის ადმინისტრაციამ ეს ვერ გადაწყვიტა, რათა არ გაეღიზიანებინა ჩინელები. ამჟამად კი ყველა ობამას რეაქციას ელოდება. მას განზრახული აქვს, ჩავიდეს ჩინეთში 15-18 ნოემბერს.



* * *

**მეორე მსოფლიო ომის ბრიტანელი ჯარისკაცის წერილი ადრესატამდე მივიდა 64 წლის შემდეგ**

ორ გვერდზე გაფორმებული წერილი დიდ ბრიტანეთში გაგზავნა ჩარლზ ფლემინგმა, რომელიც სამხედრო სამსახურს იტალიაში გადიოდა. წერილს იგი დედას სწერდა.

* * *

**ავღანეთში პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური „მეტად საალბათოა“, განაცხადა ამ ქვეყნის ელჩმა ამერიკაში**

როგორც მეთვალყურეები აღნიშნავენ, კარზაის მთავრობის პირველი წარმომადგენელია ჯავადი, ვინც საჯაროდ განაცხადა ამის შესახებ. თუ ეს გაკეთდება, ელჩის აზრით, საჭიროა გაკეთდეს დაუყოვნებლივ. ბოლო ვადა ნოემბრის დასაწყისია. არჩევნების გადატანა მომავალი წლის გაზაფხულისთვის „კატასტროფული“ იქნება.



◉ სასამართლო დღეს, ხვალ...

# მძიმე ჭაპანი

**ამ ორიოდე თვის წინათ, სანამ რაიონული სასამართლოს ლიკვიდაციის გამო რეზერვში ჩარიცხულ მოსამართლეთა რიგებში გადავინაცვლებდი, ერთ-ერთი სამუშაო კვირის ბოლო დღის მიწურვისთანავე, პროცესებით მოღლილი, სწრაფად დავემშვიდობე ჩემს სანდომიან მდივანსა და კეკლუც თანაშემწეს, გარკვეული მითითებები მივეცი მომავალ კვირაში განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით და თბილისში წამოსასვლელად სწრაფად დავეშვი ბორჯომის გარეუბანში აღმართული, არც თუ ლაზათიანი სასამართლოს ფართე, მაგრამ თავის დროზე უგერგილოდ ნაკეთობის გამო თითქმის ნახევრად დანგრეულ კიბეებზე.**

ტრანსპორტისთვის დიდხანს არ მილოდინია. ავტომანქანით გადატვირთულ ტრასაზე, ხელის აწევისთანავე, ფეხებთან გამიჩერდა მგზავრებით გადაჭედილი „მერსედესის“ მარკის ცისფერი სამარშრუტო მიკროავტობუსი, რომლის წინა მინაზე დიდი, წითელი ასოებით, შორიდანვე იკითხებოდა „თბილისი“.

ტრანსპორტში ასვლისთანავე შუა რიგში მჯდომმა ყმაწვილმა ჯერ მე შემომხედა, მერე, ნახევრად შემობრუნებულმა, ჩანთა-პარკებით ჩახერგილ, ვიწრო „კორიდორს“ გადაავლო თვალი, თავაზიანად მითხრა დაბრძანდითო და უკანა რიგში, მგზავრთა მიწევ-მოწევით გამონახულ ადგილზე გადაჯდა.

მანქანის დაძვრისთანავე მძღოლმა მაგნიტოფონს აუწია, მაგრამ ვისოცკის ისედაც ჩახლეჩილი ხმა ორიოდე წუთში თითქმის მთლიანად დაფარა მგზავრთა ყაყანმა.

სხვადასხვა ადგილზე მჯდომ სამ შუა ხნის ქალსა და ერთსაც მათივე ასაკის მამაკაცს ეტყობოდათ, მეზობლები იყვნენ, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და სანამ მე მათ დავემგზავრებოდი, მანამდე კარგადაც შეხურებულიყვნენ რაღაც აზრიან, თუ უაზრო კამათით.

– ეხლა თოფებზე დაერივნენ! – სიტყვა გადაუგდო ჩემს გვერდით, ფანჯარასთან მჯდომმა, წითელპომადიანმა, ჩასუქებულმა ქალმა უკან მჯდომ ქალს და სანამ ეს უკანასკნელი რამეს უპასუხებდა, ირონიული ღიმილით ჩაულაპარაკა:

– ქრისტო აიყვანეს გუშინ.

– ვინ ქრისტო, ქალო?!.. ინტერესით ჩაეკითხა უკან მჯდომი.

– ჩემი მეზობელი, პაპიძე „გეკო“ უნახეს სახლში და...

– ვინ ქალო, ხომ არ გადაირიე, ის მოხუცი კაცი?–

– ოთხმოცდახუთისაა, – შთამბეჭდავად დაუდასტურა წითელპომადიანმა.

– მერე, ქალო!

– მერე ისა, ლიზიკო, რომ არჩევნების საშელავათო დღეები დიდი ხანია დამთავრდა და... ჩაერია უკანა რიგის მარჯვენა კუთხეში მჯდომი მამაკაცი.

– რა შუაშია არჩევნები ხალხო, იმ მოხუცი კაცის დაჭერა შეიძლება?! – შეიცხადა ლიზიკომ.

– რის მოხუცი, რა მოხუცი, სულს ამოგხდიან თუ უნდათ, – აგრესიული ტონი გაურია მამაკაცმა, ნერვიულად მოისრისა თითები – აგერ რას უშვრებიან ჩემს ცოლს ძმას, ერთი საშეშე ხის მოჭრისთვის პასუხისგებაში მისცეს კაცი, ნერვიულობისგან შაქარმა აუწია, რა ვქნა, ადვოკატზე გადასახდელ ფულიანად, შვიდი ათასი უნდა ვიშოვო, საიდან, რითაო. ინერვიულა და ეგე, ხუთი დღეა კარდიოლოგიურში წევს, ახლაც იქ მივდივარ, არ ვიცი როგორ იქნება.

– ჰო ო ო, სხვათა შორის იმ უბედური ქრისტოსთვისაც ფული მოეთხოვათ, შოთავ, საპროცესოსთვისო, – მამაკაცს გამოეპასუხა წითელპომადიანი. თუმცა მანამ, წინა რიგებიდან, აქამდე ჩუმად მჯდომმა ბერიკაცმა გაკვეწლა, შენ ცოლისძმა ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს, მაგრამ თითო ხის მოჭრით არის ტყე ისე გავერანებული, რომ ნადირი აღარ ჩერდება და ჩიტებს ბუდე ველარ გაუკეთებიაო.

შოთამ არაფერი უპასუხა „არამკითხეს“, ამრეზით გახედა და რაღაც ჩაიბუტბუტა.

– საპროცესო რაღა ჯანდაბაა, სასამართლომ არ უნდა განიხილოს საქმე? – ყველა თანამოსაუბრის გასაგონად იკითხა ლიზიკომ.

– პროკურატურა... პროკურატურა... დღეს ყველაფერი მაგათ ხელშია, კანონიც და სამართალიც... – ენა უფრო გაიმწარა შოთამ.

– „ოხ-ო-ხო-ხო!“ – გამოჯავრებით ჩაილაპარაკა ბერიკაცმა, წამოჭარხლებულ სახეზე ეტყობოდა, რომ არ სიამოვნებდა შოთას გაბოროტებული ქაქანი.

– კი, მაგრამ სასამართლო... პროკურატურამ ხო სასამართლოს უნდა გადასცეს საქმე? – არ მოეშვა შოთას ლიზიკო.

– სასამართლოს ვინ რას ეკითხება, პროკურატურაა დღეს ყველაფერი, მოსამართლეები დამონებული ჰყავთ პროკურორებს, რასაც პროკურორი იტყვის, მოსამართლეც იმას აკეთებს, კაი დედის შვილია, არ გააკეთოს, აუკრავენ კიდეც გუდა-ნაბადსა, – თავისებურად ჩაუფილოსოფოსა შოთამ ლიზას და აწრიპინებულ მობილურში გადაიტანა საუბარი.

ერთი ხანობა ვიფიქრე, რომელიმემ ხომ არ მიცნო და შეგნებულად ხომ არ ააზეს ჩემი და ჩემი პროფესიის მონათესავე სამსახურების გალანძღვაგათათხვა-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ არ იყო ამდაგვარი ეჭვის საფუძველი.

ორსაათიანი მგზავრობისას მხოლოდ პოლიცია-პროკურატურის ზღვარსგადაცილებული უკანონობებისა და მოსამართლეთა უსუსურობის შესახებ მესმოდა, არ ვიცი საფუძვლიან თუ უსაფუძვლოდ განაწყენებულ პირთა ღვარძლიანი ლაპარაკი და მთელი საღამო ვერ მოვიცილე ფიქრები: რა ხდება, რატომ არის ხალხში ასეთი უარყოფითი აზრი სასამართლოზე, რატომ ვაძლევთ მავანსა და მავანს ამის საფუძველს?

უცნაურად დაემთხვა და იმავე საღამოს ტელევიზიით გამოსვლისას, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის აქტიურმა წევრმა მთლად მაქსიმუმამდე აიყვანა ჩემი გაღიზიანება, როცა ხელისუფლებაზე უკმაყოფილო საუბრისას, სასამართლო, „დაჩმორებულ“, უსუსურ ორგანიზაციად მოიხსენია.

ოპოზიციონერის უარგუმენტო „მოძღვრებამ“ უფრო დამიმძიმა ავტობუსშივე დამძიმებული გული, სასამართლოზე და მოსამართლეებზე ქილიკი დიდი ხანია მესმის, მაგრამ ისე როგორც იმ საღამოს, არასოდეს ჩავუფიქრებივარ ჩვენზე, მოსამართლეებზე გახშირებულ ლანძღვა-გინებას.

არადა, მართლაც, რომ უმადურია მოსამართლის პროფესიული საქმიანობა. გარდა თვითონ მოსამართლისა, ვინ იცის რა საფიქრალი და ნერვების წყვეტაა თითოეული განსახილველი საქმე.

„არც ერთი საქმე უბრალო არ არის“, – გამახსენდა ყმაწვილობისას ერთ-ერთი მხცოვანი კოლეგის ნით დამძიმებული ბოლო და გადამწყვეტ, სამართლიან სიტყვას იმედიანად ელოდება ერთის მხრივ ბრალდებულად შერაცხული და მეორეს მხრივ, ამა თუ იმ უკეთური ქმედებით ეკონომიკურად განადგურებული, თუ პატივ-ღირსება შელახული დაზარალებული.

ასეთ შემთხვევაში კი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რამხელა საპასუხისმგებლო დატვირთვა აქვს მოსამართლის საბოლოო ვერდიქტს, რომელიც ვერ იგუებს ვერც სიტყვა „შეცდომას“ და ვერც „ზერელობას“.

ამ წერილის წერისას, თავისთავად წამოტივტივდა ბოლო ხანებში ჩემს მიერ განხილული ზოგიერთი საქმის დეტალები და ისე, ყოველი შემთხვევისთვის, სასამართლოს კანცელარიაში, გასული წლის სტატისტიკურ ჩანაწერებსაც გადავავლე თვალი.

ალკვეთის ღონისძიების საკითხის დარიგება და მართლაც, თითოეული საქმის უკან ხომ ადამიანი დგას, საქმისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ შეიძლება უზარმაზარი ზიანი მიაყენოს მის ქონებრივ, მორალურ თუ ფიზიკურ მდგომარეობას.

მძიმე ჭაპანია მოსამართლეობა, მაგრამ უფრო მძიმე და გულსატკენია მოსამართლის შრომის დაუნახაობაც.

პატიოსნება, კანონიერება და სამართლიანობა, – აი, ძირითადი თვისებები, რითაც ჩანს და ფასდება მოსამართლე.

სწორად გვიჭირავს თემიდას სასწორი? აქვს საფუძველი მავანსა და მავანს ჩვენი საყვედურისთვის?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს მრავალწლიან სამოსამართლო პრაქტიკაში ამის საფუძველი არც გაგანია კომუნისტობისას მიმიცია ვინმესთვის, არც „ზვიადიზმის“, არც მისი შემდგომი პერიოდისას და არც ახლა – „ვარდების ყვავილობისას“.

სასამართლოში პროკურატურიდან მოსულმა კარგად ვიცი პროკურორთა მუშაობის სპეციფიკა, საკმაოდ გარკვეული ვარ ადვოკატთა როლსა და მნიშვნელობაში და, ალბათ, არ მიწყენენ მეგობრები აღნიშნული სამსახურებიდან, თამამად განვაცხადებ: ბრმად რომ დავთანხმდეთ პროკურორისა თუ ადვოკატის ყველა მოთხოვნას, მაშინ მართლმსაჯულების ნატამალსაც კი ვერ მივიღებდით სასამართლოსგან.

რატომ? იმიტომ, რომ კანონი პროკურორს ავალებს ბრალდებაზე მხარდაჭერას, ხოლო ადვოკატს – პროკურორისგან დადანაშაულების დაცვას.

ასეთ შემთხვევაში, მტყუან-მართლის გასარჩევად აუცილებელია მესამე, ნეიტრალური რგოლი, ასეთი კი მხოლოდ სასამართლოა.

დიახ, მოსამართლეა ის ერთადერთი გამოკვეთილი ფიგურა, ვის მრავალწლიან აწონილ-დაწონილ, უტყუარ მტკიცებულებებზე შექმნილი რწმე-

გადაწყვეტისას, პროკურორისგან პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის თითქმის ყოველი მესამე შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილებია. იმავე პერიოდში მომიხდა სამტრედიელი ვეფხია მეგენეიშვილის გასამართლება, რომელსაც მძიმე დანაშაულში – არასრულწლოვანი გოგონას თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ედებოდა ბრალი. ახალგაზრდა პროკურორმა ომახიანად მოითხოვა მისთვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, მაგრამ უკვე ოთხი თვის პატიმარს გალიის კარი გავუღე და გამართლებულის სტატუსით სხდომის დარბაზიდანვე გავუშვი მონატრებულ ცოლ-შვილთან.

სასამართლოსგან მტკიცებულებათა სამართლიანი შეფასების გამოა, რომ დღეს უკვე ამაყად დადის ბორჯომის მიწაზე იმავე რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე იზა ლომიძე, რომელიც, ამ ორიოდე წლის წინ, თაღლითის, ყალბი დოკუმენტების შემდგენლისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩამდენის იარლიყაფარებული, „რკინის ქალამნებჩაცმული“ იბრძოდა სიმართლის დასამტკიცებლად.

სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით დადანაშაულებული ქვრივი ქალის, ორი შვილის დედის მიმართ ისეთი მგზნებარებით მოითხოვა პროკურორმა თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, ერთი შეხედვით გეგონებოდათ ქვეყნის დამაქცევარი, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ჰყავდა საზოგადოებისაგან დროულად მოსაცილებელი. ფაქტობრივად კი, აფხაზეთის პროკურატურისგან არასრულყოფილად გამოძიებული საქმის მასალების სასამართლო პროცესზე განხილვის შემდეგ, საპნის ბუშტივით გასკდა წინასწარი გამოძიებისაგან შეკოწიწებული ბრალდება და სასამართლოსგანვე გამართლებულმა, ერთ პერიოდში სამართალდამცავთა უსულგულობით გულატკენილმა, მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის

საკომპენსაციოდ, გარკვეული თანხაც კი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ალბათ დიდხანს გაჰყვება წინასწარ გამოძიებაზე უსიამოვნო მოგონებები სოფ. ციხისჯვრის საკრებულოს ყოფილ გამგებელ ლევან ამბარცუმოვს, რომელსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედებოდა ბრალი, მაგრამ მისი ბრალდების სასამართლო პროცესზე სწორად, გულდასმით შესწავლაგანხილვამ განაპირობა, პროკურორის მოთხოვნითვე საქმის ჯერ წინასწარ გამოძიებაში დაბრუნება და შემდეგ მისი წარმოების შეწყვეტა.

ამგვარი უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როგორც ჩემი, ისე ჩემი კოლეგების სასამართლო პრაქტიკიდან, მაგრამ ეს ორიოდე ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ გაბედულად გითხრათ, რომ უცნობო თანამგზავრებო და პოზიცია-ოპოზიციის ზოგიერთო ურწმუნო წარმომადგენლებო, რომ არც ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ.

აბა, აწყობილი გვქონია სასამართლოებში საქმე და რაღა გვიჭირსო, ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკებს მავანი. წამოგვაყვედრებს საპროცესო კანონმდებლობაში ჯერ კიდევ დასახვეწ-დასაზუსტებელი ნორმებისა თუ ზოგიერთი „დაუღვინებელი“ მოსამართლის აჩქარებით მიღებული გადაწყვეტილებებით ჩავარდნილი სასამარლთო პროცესების ფაქტებს და უკუღმა უჩვენებს საერთოდ სასამართლოთა წაღმა ნაკეთებ საქმეს.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც სხვა სფეროში, ისე სასამართლო სისტემაშიც არის ბევრი რამ შესაცვლელი და გამოსასწორებელი.

გარკვეულწილად თვითონ მოქმედი კანონიც ზღუდავს, ან ხელს უწყობს სამართლიანი მოსამართლის სახის წარმოჩენას და ალბათ ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო პერიოდში კანონმდებლები უფრო აქტიურად ამუშავდნენ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მისაღებად, რომელიც ძირეულად ცვლის დღემდე მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას.

კომუნისტობის პერიოდიდან მოქმედი მოსამართლე ვერასოდეს წარმოვიდგენდი მოსამართლეთათვის ისეთი სამუშაო პირობების შექმნას, როგორიც დღეს აქვთ კანონგამტარებლებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან არც მათი სოციალური გარანტიებია დავიწყებული. ერთი სიტყვით, სასამართლო რეფორმა ჯერ კიდევ დუღილის პერიოდშია. ამ ცოტა ხანში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტიც ამოქმედდება და მაშინ, ხომ უშუალოდ ხალხმა უნდა გაახუროს მართლმსაჯულების ქურა და მანვე გამოაცხოს კანონითა და სამართლიანობით შეზავებული ვერდიქტი.

**როლანდ ვარაზაშვილი,**



**იურისტი (რეზერვის მოსამართლე), საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი**

◉ წერილი საინგილოდან

# ავ-კარგის გარჩევა ვისწავლოთ!..

**ამ ბოლო დროს სტალინის ლანძღვას მოუხშირეს. მავანმა გორში, მის ძეგლს თვალი დაადგა და აღებას გეგმავს.**

ჩემი დასაცავი სტალინს რა სჭირს, ყველამ იცის მისი ღვაწლის შესახებ. მე თავად სტალინის ეპოქაში გავიზარდე, იქიდან მომყვება პატიოსნება, სიმართლე, ადამიანთა სიყვარული. მამაჩემი განაკულაკეს და ორი წელი ციხეში იჯდა – მთელი ქონება, მიწები, იალალი ჩამოართვეს, მაგრამ სტალინზე აუგი არ უთქვამს... ნაციხარი მამის გამო პარტიაშიც არ მიმიღეს, მაგრამ ამას ჩემთვის სტალინზე აზრი არ შეუცვლევინებია.

ჰერეთში, კახში და ქათმისხევში (ალიბეგლოძ სტალინის ძეგლი დგას, მრავალჯერ სცადეს მისი დანგრევა, მაგრამ პატარა საინგილოს შვილებმა თოფის სროლით დაიცვეს და დღესაც იცავენ.

მთელი საინგილოს ახალგაზრდობა 1946 წელს სწორედ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბრძანებით მოვეწყეთ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული, ქვეყანა დანგრეული და ეკონომიკა – გაპარტახებული იყო, ამის მიუხედავად, სტალინმა ბრძანა, ბელაქანში, ზაქათალაში და კახში მცხოვრები აზერბაიჯანის ქართველობა უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ – განათლება მიეცათ, მატერიალურად და უფასო კომუნალური მომსახურებით დახმარებოდნენ.

ახლანდელმა ძეგლებთან მებრძოლმა ხელისუფლებამ კი ლომაიას ხელმძღვანელობით საინგილოში ქართული სკოლები დახურა; ბელაქანში – ითითალის ქართული ათწლედი, ელისენის (ალიაბადისძ, მოსულის სკოლები...

გულში დიდი ტკივილი მაქვს – აქაური თანამდებობის პირებს სპარსეთსა და თურქეთში მცხოვრები გამუსულმანებული ქართველი მირჩევნია. რბილ სავარძლებში მოკალათებულნი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, ავისა და კარგის დაფასება კი არ იციან. შაჰ-აბასისადმი ნათქვამი გიორგი სააკაძის სიტყვები მახსენდება: ავსა და კარგს ერთი ფასი ჰქონიაო.

სწორედ საქართველოში არ იციან ავკარგის გარჩევა. სიტყვამ მოიტანა და აზერბაიჯანში პირველი პრეზიდენტის ნარიმან ნარიმანოვისა და დღეს ჰეიდარ ალიევის სახელები ქუხს, თურქეთში ათა-თურქს აღმერთებენ. აქ კი, საქართველოს შვილს – სტალინს აგინებენ და ძეგლის დანგრევა სურთ. სამწუხაროა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლიც ქალაქგარეთ გაიტანეს და გუშაგივით დააყუდეს. არადა, მომიტევოს წმინდა გიორგიმ, იგი სწორედ თავისუფლების მოედანზე უნდა მდგარიყო...

სჯობს, დავფიქრდეთ და ისეთი ნაბიჯი არ გადავდგათ, რომელიც მომავალში ისევ ჩვენ შემოგვიბრუნდება.

**მიხეილ ყულოშვილი (ჰერეთელი)**

ჭადრაკი

# პირველად საქართველოში



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა საქართველოს პირველი ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორები არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ჭადრაკის ფედერაცია, ათი რეგიონისა და დედაქალაქის გუნდები (თითოეულში 3 ვაჟი და 1 გოგონაა) მონაწილეობენ.**

ორგანიზატორებმა მოასპარეზენი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯგუფებად დაყვეს, სადაც წრიული სისტემით გამოვლინდებიან ფინალისტები. უკვე გაიმართა სამი ტურის შეხვედრები. გაუწყებთ შედეგებს.

**აღმოსავლეთი. I ტური.** ქვემო ქართლი – მცხეთა-მთიანეთი 3:1, სამცხე-ჯავახეთი – კახეთი 1:3, შიდა ქართლი – თბილისი 0,5:3,5. II **ტური.** მცხეთა-მთიანეთი – თბილისი 0:4, კახეთი – შიდა ქართლი 1,5;2,5, ქვემო ქართლი – სამცხე-ჯავახეთი 1:3, III ტური. შიდა ქართლი – ქვემო ქართლი 3:1, სამცხე-ჯავახეთი – მცხეთა-მთიანეთი 3:1, თბილისი – კახეთი 3,5:0,5.

**დასავლეთი. I ტური.** აჭარა – რაჭა-ლეჩხუმი 3:1, სამეგრელო – გურია 1:3, ისვენებდა იმერეთი. II **ტური.** რაჭა-ლეჩხუმი – სამეგრელო 1:3, იმერეთი – აჭარა 4:0, ისვენებდა გურია. III **ტური.** სამეგრელო – იმერეთი 1:3, გურია – რაჭა-ლეჩხუმი 4:0, ისვენებდა აჭარა.

**ლექსო ცინცაძე**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

# ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი



**თოთხმეტი წლის ამერიკელმა რეი რობსონმა, რომელმაც ჭაბუკთა პანამერიკული თამაშები მოიგო, დიდოსტატის წოდების მისანიჭებლად ყველა ნორმატივი შეასრულა.** აშშ-ს ისტორიაში იგი გახდება ყველაზე ახალგაზრდა (14 წლის, 11 თვისა და 16 დღისაა) მოჭადრაკე, ვისაც ეს ტიტული მიენიჭება. ფიდეს თავკაცმა კირსან ილუმჟინოვმა რობსონი ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასზე მიიწვია, როგორც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ნომინანტი. ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატთა სიაში ამერიკელს მე-16 ადგილი უკავია. პირველ სამეულში შედიან სერგეი კარიაკინი (12 წლისა და 7 თვის გახდა დიდოსტატი), პარიმარჯან ნეგი (13 წლის, 4 თვისა და 22 დღის) და მაგნუს კარლსენი (13 წლის, 4 თვისა და 27 დღის).

ფიგურული ციგურაობა

# „ციებ-ცხელება" – ყინულზე



**პარიზში მოციგურავეთა გრან-პრის გათამაშება დაიწყო, რომელშიც ქართველი სპორტსმენი ელენე გედევანიშვილიც ჩაებმება. ხვალ იგი ქალებში მოკლე პროგრამით იასპარეზებს.** ელენეს კონკურენციას გაუწევენ ისეთი ცნობილი მოციგურავეები, როგორებიც არიან ფინელი კირა კორპი, ფრანგი გვენდოლინ დიდიე, იტალიელი კაროლინა კოსტნერი, იაპონელები – მაო ასადა და იუკარი ნაკანო, პოლონელი ანა იურკევიჩი, კორეელი იუ-ნა კიმი, ამერიკელი კაროლინ ჩანგი. ჩვენებური მოკლე პროგრამას დევენპორტის „ციებ-ცხელების" მუსიკალურ ფონზე შეასრულებს.

კალათბურთი

# ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს



**რუსთავში დაიწყო დუდუ დადიანის მემორიალი, რომელშიც კალათბურთელთა რვა გუნდი მონაწილეობს, მათ შორის შსს-ს „ხუთი", რომელიც „ავიამშენის" მემკვიდრეა.** სწორედ, „ავიას" მოთამაშეებით (ბერიშვილები, ნიკოლაძე, სუხიშვილი და შერმადინი) გაძლიერებულმა „ხუთმა" დიდი ანგარიშით მოუგო „დინამოს" – 101:66. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა „მაქაბი" დაამარცხეს 126:78, აგრარულმა უნივერსიტეტმა „ჭიათურას" სძლია 95:59, „ენერჯიმ" „სოხუმს" აჯობა – 107:51.

რა არ ხდება

# ხუთი ყველაზე დიდი აფიორა სპორტის სამყაროში

**მოტყუება, შპიონაჟი, პირატობა უკვე დიდი ხანია, გახდა პოლიტიკის, ბიზნესის, პოპკულტურის განუყოფელი ატრიბუტები. და, როგორც ჩანს, სპორტი კინაღამ ცხოვრების ერთადერთი სფეროა, სადაც კიდევ შესაძლებელია კეთილშობილური მეტოქეობა. თუმცა სტადიონზე პლეი-ოფის სულისკვეთების ჩანერგვისთვის ყველა ძალისხმევის მიუხედავად, სიხარბე, ქედმაღლობა, ცბიერება აიძულებს ათლეტებს სალიერისა და მავროდის მოლიპულ გზაზე დადგომას, რათა მიაღწიონ ჩემპიონობის მწვერვალებს, ზოგჯერ სპორტული ოლიმპის მამაცი დამპყრობნი, მილიონობით გულშემატკივარი რომ უკრავს ტაშს, მხოლოდ ბანალურ გაიძვერებად წარმოჩნდებიან ხოლმე. „კომსომოლსკაია პრავდამ" შეადგინა მსოფლიო სპორტის ყველაზე ხმაურიანი აფიორების რეიტინგი, რასაც თანდათან, ნომრიდან ნომერში შემოგთავაზებთ.**



## 1. მარადონას ხელოვნური ასო

დოპინგი თანამედროვე სპორტის მთავარი უბედურებაა. მაგრამ სამარცხვინო მხილებანი ვერ აჩერებს უსინდისო ათლეტებს. ისინი იმედოვნებენ კვალის დაფარვას. და, სხვათა შორის, ვერავინ ახერხებდა ამას ისე ოსტატურად, როგორც ფეხბურთის არგენტინელი გენიოსი **დიეგო მარადონა.**

**დანაშაულის სქემა:** თავისი ვარსკვლავური წლები მარადონამ იტალიურ „ნაპოლში" გაატარა. სწორედ იქ დაიწყო კოკაინის გამოყენება. როგორც ამბობენ, ბურთის ჯადოქარი ნარკოტიკებზე ადგილობრივმა მაფიოზებმა „დასვეს", რათა მანიპულირება მოეხდინათ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ფეხბურთელის ფულით.

რათა კეთილსასურველად ჩაევლო რეგულარულ დოპინგსინჯებს, მარადონამ თავისთვის დაამზადებინა ხელოვნური ასო (პენისი), იმას ავსებდნენ სუფთა „დონორული" შარდით და ჩამოაცვამდნენ ხოლმე ნამდვილ სასქესო ორგანოს. ეს სიყალბე ისე კარგად იყო დამზადებული, რომ ოფიციალური ანტისადოპინგო კომისია დიდხანს ვერაფერს ხვდებოდა.

აღსანიშნავია, რომ „ნაპოლში" მარადონა იმ დროისთვის ზღაპრულ ფულს ღებულობდა – წელიწადში 800 ათას დოლარს.

დოპინგის გამო 1992 წელს მარადონამ „დაიმსახურა" 15-თვიანი დისკვალიფიკაცია. ხოლო როდესაც მეორედ გამოიჭირეს დოპინგზე – 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ში (მის ანალიზებში აღმოაჩინეს ეფედრინი), მან არსებითად კარიერა დაამთავრა, თუმცა ახლა არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

სუმო

# ორნი – მსოფლიოს თასზე



**პოლონეთში ამ უქმეებზე ქვეყნის ღია ჩემპიონატი გაიმართება სუმოში, რომელიც მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპიცაა.** შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ორი სპორტსმენი გაემგზავრა – ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ავთანდილ ცერცვაძე და ევროპის ახალგაზრდული პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ზაზა ბალაშვილი.

ინტერნეტიდან

## ცნობილია 23 ფინალისტი

**ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს, უკვე ცნობილია 23 ფინალისტი, მასპინძლების გარდა ამ ტურნირის საგზურები უკვე გაინაღდეს:**




**ევროპიდან:** დანიამ, შვეიცარიამ, სლოვაკეთმა, გერმანიამ, ესპანეთმა, ინგლისმა, სერბეთმა, იტალიამ, ჰოლანდიამ.

**სამხრეთ ამერიკიდან:** ბრაზილიამ, ჩილემ, პარაგვაიმ, არგენტინამ.

**კონკაფიდან:** აშშ-მ, მექსიკამ, ჰონდურასმა.

**აფრიკიდან:** განამ, კოტ დ იუარმა.

**აზიიდან:** ავსტრალიამ, იაპონიამ, კორეამ, ჩინეთმა.

**პლეი-ოფის მატჩებში ითამაშებენ:** რუსეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, სლოვენია, ბოსნია, უკრაინა, ირლანდია (კენჭისყრა გაიმართება 19 ოქტომბერს), ურუგვაი – კოსტა-რიკა, ბაჰრეინი – ახალი ზელანდია. აფრიკაში შესარჩევი ტურნირი 14 ნოემბერს დამთავრდება.

## მათი ურთიერთობა მტკიცდება

**ინგლისში გაიხსნა ყოველწლიური ლონდონის საერთაშორისო კინოფესტივალი, მოელიან 190-სრულმეტრაჟიანი და 110-მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენებას, არც მულტფილმები დარჩება უყურადღებოდ.**

კინოფესტივალის პროგრამის პირველ ნომრად სწორედ მულტფილმი იყო – „შეუდარებელი მისტერ ფოქსი", რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ახმოვანებს ჯორჯ კლუნი. ის წითელ ხალიჩაზე გამოჩნდა ახლა უკვე, განუყრელი თანამგზავრით და ერთგული სატრფოთი – ელისაბედ კანალისის თანხლებით. შეგახსენებთ, რომ იმ ლამაზმანის პირად ცხოვრებაში უკვე იყვნენ ფეხბურთის ვარსკვლავები კრისტიან ვიერი, დიდიე დროგბა და მანუელ ბლაზი.

ლიზამ და ჯორჯმა ერთმანეთი 22 ივლისს გაიცნეს რომში საერთო მეგობრების – ძმები მანელოტების რესტორანში. ახლა კი მათი ურთიერთობა სულ მტკიცდება და მტკიცდება.

მულტფილმი შექმნილია ბრიტანელი მწერლის როალდ დალის საბავშვო წიგნის მოტივებზე, მთავარი გმირები კი – მისტერ და მისის ფოქსები ლაპარაკობენ კლუნისა და მერილ სტრიპის ხმით. გახმოვანებაში მონაწილეობდა, აგრეთვე სუპერმოდელი სინდი კროუფორდი.



კლუნის თაყვანისმცემლები მას კიდევ ორ ფილმში შეხვდებიან ფესტივალი 29 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

№ 211. შაბათი, 17 ოქტომბერი, 2009 წელი.

## ◉ ახალი გაზეთი

# სიჩუმით ხმაური კარგს ვერაფერს მოგვიტანს!

**ჩვენი სახელოვანი პოეტი-ტრიბუნი ჯანსუღ ჩარკვიანი ხელშემართული იმზირება „ქართული სიტყვის" პირველი ნომრის პირველი გვერდიდან და მომცრო წერილში საოცარი გულწრფელობით და პრინციპულობით განმარტავს ახალი გაზეთის გამოცემის აუცილებლობას:** „ჩვენო მკითხველებო, დღეს, თუ დამიჯერებთ, საჭიროა თანადგომა. თანადგომა მონობა არ გახლავთ, თანამდგომი უფლისაა, მონა — ეშმაკისა; დღეს მონებით გაივსო საქართველო... სიჩუმით ხმაური კარგს ვერაფერს მოგვიტანს. ისიც ვიცოდეთ, რომ ხალხს მეცხრე ცამდე აჰ ყავხარ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ



ქართული სიტყვა

№1

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ქებათა ქება „ქართული სიტყვის"

ხელი გაგიშვას. მონობამ დაღუპა საქართველო, ყველაზე დიდი მოღალატე კი მონაა... როცა ვირწმუნე, რომ სიტყვას აღარა აქვს თავისუფლება და ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნით, გადავწყვიტე, მეგობრებთან ერთად შემექმნა ახალი გაზეთი „ქართული სიტყვა", გაზეთი, რომელიც ჭეშმარიტების გზით ივლის, იმ გზით, რომელსაც დღეს უწმინდესი და უნეტარესი ილია II ურჩევს ქართველ ხალხს. მე ჩემს მეგობარ მწერლებთან და ჟურნალისტებთან, ხელოვნებთან და პოლიტიკოსებთან ერთად ვეცდები ვემსახურო ჭეშმარიტებას"...

ჯანსუღ ჩარკვიანის გაზეთს პირველსავე ნომერში იმდენად შთამბეჭდავი, დღევანდელობის აქტუალური პრობლემებით სავსე სტატიები და გამორჩენილ მწერალთა ნაღდი შემოქმედებით დაღდასმული პოეზიისა და პროზის ნიმუშები აქვს წარმოჩენილი, თამამად შეიძლება ითქვას: ქართულ პერიოდიკას ყველასგან გამორჩეული სიტყვა — სალიტერატურო, სახელოვნებო, საპოლიტიკო სიტყვა შეემატა. და რაც მთავარზე უმთავრესია: გაზეთის შინაარსი და დიზაინი (იერ-სახე) ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, გული გაგინათლება მკითხველს. თავად განსაჯეთ, — ვის არ მოეწონება მხატვრული სიტყვის დიდოსტატების — ჭაბუა ამირეჯიბის, ემზარ კვიტაიშვილის, რევაზ მიშველაძის ნააზრევი, გალაკტიონის რამდენიმე შედევრის გახსენება, ტერენტი გრანელის შეხედულება „ქარის და ღამეების პოეზიაზე", ცნობილი ჟურნალისტების — ლამარა კიკილაშვილის, არმაზ სანებლიძის, ვახტანგ ნანიტაშვილის, გიორგი მამაცაშვილის, ზონდო მძინარაშვილის მრავალგანზომილებიანი სტატიები, ინტერვიუები, შთაბეჭდილებები. დარგობრივ პრობლემებზე დიდი გულისტკივილით გვესაუბრებიან პროფესორი, ცნობილი ეკონომისტი დავით იაკობიძე და საქართველოს სახალხო მხატვარი თემო გოცაძე.

გაზეთს, როგორც მოსალოდნელი იყო, არც „სახალხო" იუმორი და „სიცილნათელები" აკლია.

სარედაქციო კოლეგიაში, დიდი მეგობრული თანადგომით ზემოთ მოხსენიებული მოღვაწეების გარდა შედიან ბატონები რეზო ამაშუკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ წივწივაძე, რაც იმის დასტურია, რომ გაზეთი ყველა გონიერ და გემოვნებიან მკითხველს დააინტერესებს.

ლამაზი გაზეთის პირველ ნომერს და პირველ გამარჯვებას გილოცავთ, კოლეგებო!

**სპარტაკ ქობულია**


**ფიროსმანიშვილები, ქუმსიაშვილები, ტარუაშვილები, ნათიძეები მწუხარებას გამოთქვამენ**

**გია მამისაშვილის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დაკრძალვა 18 X, 14 სთ. სოფ. არაშენდა, გურჯაანის რ.**

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი", თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ახალშობილთა განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი, ღვაწლმოსილი ექიმ-ნეონატალოგი

**მერი გოგოსაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



**შპს „ვეტბიოფარმი" აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ფართების ქირით გაცემაზე**

**ქირით გაიცემა:** 260 კვ.მ. (20; 84; 44; 112ძ კვ.მ. და 326 კვ.მ. (264; 62ძ კვ.მ. შესაძლოა ფართების ნაწილ-ნაწილ გაქირავებაც. ქირის საწყისი ოდენობა თვეში — 2,20-დან — 4 ლარამდე 1 კვ.მ-ზე. განაცხადები მიიღება 2009 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, აბუსერიძე-ტბელის (ყოფილი მატროსოვისძ ქუჩა №15.

**აუქციონი გაიმართება 2009 წლის 3 ნოემბერს, 12 საათზე.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 890-673-763.**

**შპს „ვეტბიოფარმი".**


## ◉ მრგვალი მაგიდა

# მშვიდობისა და დიალოგის არქიტექტორები

**„დიალოგ ევრაზიის პლატფორმა — საქართველოს" კომიტეტმა „შერატონ მეტეხი პალასში" გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „მშვიდობისა და დიალოგის არქიტექტორები ევრაზიაში: დავით აღმაშენებელი და ფეთჰულაჰ გიულენი — ტოლერანტობა, როგორც გადარჩენის აუცილებელი პირობა".**

„დიალოგ ევრაზიის პლატფორმა-საქართველოს" კომიტეტის თავმჯდომარემ გიული ალასანიამ აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია დაფუძნდა 1998 წელს თურქეთში და მიზნად ისახავს ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებას, დიალოგს, არსებითი კი ქველმოქმედებაა.

„დიალოგ ევრაზიის პლატფორმის" პრეზიდენტმა ჰარუნ ტოკაკმა ისაუბრა დავით აღმაშენებლისა და ფეთჰულაჰ გიულენის ღვაწლზე ტოლერანტობის თვალსაზრისით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ აღნიშნა, რომ კულტურათაშორისი დიალოგი განათლების საზღვარზე გადის, ხოლო განათლება ტოლერანტობის, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის საწინდარია.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა აჰმედ ჩეთინმა ყურადღება გაამახვილა ქართველ და თურქ ერებს შორის დიალოგში შეტანილ წვლილზე.

პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ თოიძემ ამ ფორუმს საეტაპო უწოდა, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ქვეყნის კულტურულ და საგანმანათლებლო ურთიერთობებს.




მრგვალი მაგიდის მნიშვნელობას მშვიდობისა და დიალოგის განვითარების თვალსაზრისით ხაზი გაუსვა ჩალდარის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მესეთ ბოზქირმა...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით ფორუმს მიესალმა აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით — მეუფე დანიელი.

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მრგვალი მაგიდა ცივილიზაციათა და, საერთოდ, დიპლომატიურ დიალოგს ხელს შეუწყობს. ევრაზიის საზღვარზე მყოფ დიდი ისტორიული გამოცდილების მქონე ქართველ ხალხს შეუძლია წვლილი შეიტანოს მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში. მას აქვს დიალოგის უდიდესი კულტურა, რომელიც ასე სჭირდება მსოფლიოს.

**ნატა ნიბლაძე**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

## ◉ ახალი ნობელიანტები

**„აქაცაო", რომ ვამბობთ, კიდევ ორ „სანობელე" დარგს ვგულისხმობთ, — ქიმიასა და მედიცინასა და ფიზიოლოგიას (ფაქტობრივად სამი დარგი გამოდის, მაგრამ მედიცინა და ფიზიოლოგია „საქმეში" ერთად გადის...). ორივე ხაზით 2009 წლის ნობელის პრემიას (10 მილიონი შვედური კრონი ანუ ერთ მილიონამდე ევრო) სამ-სამი მეცნიერი თანაბრად გაიყოფს.**

# აქაც სამ-სამად

ქიმიაში ეს უმაღლესი მეცნიერული ჯილდო გადაეცემათ სწავლულებს: დიდი ბრიტანეთიდან **ვენკატრამან რამაკრიშნანს** (კემბრიჯის მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიაძ; აშშ-დან **ტომას სტაიცს** (იელის უნივერსიტეტიძ; ისრაელიდან **ადა იონატს** (ვეიცმანის უნივერსიტეტიძ; „რიბოსომის სტრუქტურისა და ფუნქციის გამოკვლევებისათვის", რომელიც (რიბოსომიძ ინფორმაციას ამოიკითხავს დნმ-ისა და მასინთეზირებელი ცილისაგან — ასე გამოაცხადა შვედეთის სამეცნიერო აკადემიამ სტოკჰოლმში (მკითხველს შევახსენებთ, რომ დნმ არის აბრევიატურა საკმაოდ „ჩახლართული" სახელებისა და დეზოქსირიბონუკლეინის მჟავაძ.



ეს გამოკვლევები მნიშვნელოვანია ცხოველქმედების ძირითადი პროცესებისათვის. „რიბოსომები იმ პროტეინებს აწარმოებენ, რომლებიც, თავის მხრივ, ქიმიურ პროცესებს აკონტროლებენ ყველა ცოცხალ ორგანიზმში; ვინაიდან რიბოსომებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სიცოცხლისათვის, ასეთივე მნიშვნელობას იძენენ ახალ ანტიბიოტიკებზე მუშაობაშიც", — ნათქვამია სამეფო აკადემიის მიერ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში.

ქიმიაში ნობელის კომიტეტის თავმჯდომარემ გუნარ ფონ ჰეიონემ ჟურნალისტებთან პრემიის მინიჭების კომენტირებისას თქვა, რომ სამივე ლაურეატი ერთმანეთთან არ თანამშრომლობდა, თუმცა სამივენი ერთსა და იმავე შედეგებამდე მივიდნენ. „უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის მეგობრული კონკურენცია უფრო მეტი იყო, ვიდრე თანამშრომლობა", — დასძინა მან.

რიბოსომი არის ცოცხალი უჯრედი, არსებითი ფუნქციური ერთეული, რამდენადაც ასრულებს დნმ-ში კოდირებული გენეტიკური ინფორმაციის ამოკითხვისა და ამ ინფორმაციის საფუძველზე ახალი ცილური მოლეკულების სინთეზის ფუნქციებს. რიბოსომების სწორი მუშაობა უზრუნველყოფს ორგანიზმის უჯრედების მუშაობის სტაბილურობას, რაც დამოკიდებულია რიბოსომის მიერ სინთეზირებული ათეული ათასობით სხვადასხვა ცილური მოლეკულის მუშაობაზე.

წლევანდელმა ლაურეატებმა შეძლეს იმის ჩვენება, თუ როგორ ასრულებს ეს ურთულესი მოლეკულური აპარატი თავის მუშაობას ისე, რომ არც ინფორმაციის წაკითხვასა და არც სინთეზში არ უშვებს შეცდომებს. უფრო მეტიც, იმათ გვიჩვენეს, თუ რაგვარად ურთიერთქმედებენ ასეთ აპარატთან იმ ანტიბიოტიკების ნივთიერებათა მოლეკულები, რომლებიც ორგანიზმს მასზე „დაპარაზიტებულ" მიკროორგანიზმთაგან დაიფარავენ.

გადავიდეთ მედიცინა-ფიზიოლოგიის „ერთიან" სფეროზე. ისევ სამეულთან გვექნება საქმე — 2009 წლის ნობელის პრემიის ლაურეატებად სტოკჰოლმში სამეფო სამედიცინო ინსტიტუტთან არსებულმა ნობელის კომიტეტმა გამოაცხადა სწავლულები აშშ-დან: იქ მომუშავე ავსტრალიელი ქალბატონი ელისაბედ ბლეკბერნი, ამერიკელი ქალბატონი კეროლ გრეიდერი და მისი თანამემამულე ჯეკ შოსტაკი.

მკვლევარებს ჯილდო მიეკუთვნათ იმ მოვლენის აღმოჩენისათვის, თუ როგორ იცავენ თავს ქრომოსომები ტელომერებითა და ტელომერაზის ფერმენტით.

ტელომერები წარმოადგენენ ქრომოსომების ბოლო უბნებს, რომლებიც მათ იცავენ. უჯრედის ყოველი დაყოფისას ტელომერები მოკლდებიან; როცა „მთავრდებიან", უჯრედი კვდება, რაც არის საერთოდ ორგანიზმის დაბერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მექანიზმის არსებობის ჰიპოთეზა პირველად წამოაყენა საბჭოთა მეცნიერმა ალექსი ოლოვნიკოვმა 1971 წელს.

**თამაზ ეზანიძე**

## დღის კალენდარი

17 ოქტომბერი

**მე-19 შვიდეული სულთმოფენო-ბიდან. შაბათი.**

**ხსენება წმიდა მამისა ჩვენისა ევდემოზ კათოლიკოსისა (1642წ. მღვდელმოწამე იეროთეოზისა – ათინელ ეპისკოპოსისა (Iს; მღვდელმოწამე პეტრე კაპიტოლიელისა (III-IVს; მოწამეთა: გაიოზისა, ფაუსტოსი, ევსევისა და ქერიმონისა (IIIს. მოწამეთა: დომნინასი და ასულთა მისთა, – ვირინეას და პროსკუდიასი (305-306ს; ღირსი ამონის (დაახლ. 350ს; ღირსი პავლესი (IVს; მოწამე დავიკტისა და ასულისა მისისა კალისთენიასი (IVს.**

### დაიბადნენ:

**1760 – კლოდ ანრი დე სენ-სიმონი,** ფრანგი, სოციალისტ-უტოპისტი, გარდაიცვალა 1825 წელს.

**1838 – პეტრე უმიკაშვილი,** საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, გარდაიცვალა 1904 წელს.

**1847 – გიორგი წერეთელი,** მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1918 წელს.

**1886 – გიორგი ქუჩიშვილი (ჩხაიძე),** მწერალი, გარდაიცვალა 1947 წელს.

**1889 – ნიკოლოზ კანდელაკი,** მოქანდაკე, თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1957 წელს.

**1897 – პავლე ფრანგიშვილი,** მსახიობი, რეჟისორი, გარდაიცვალა 1966 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1744 – ჯუზეპე ანტონიო გვარნერი,** იტალიელი ვიოლინოების ოსტატი, დაიბადა 1698 წელს.

**1849 – ფრედერიკ შოპენი,** პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი, დაიბადა 1810 წელს.

### მოვლენები:

**1815 წელი** – ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს.

**1902 წელი** – ქალაქ დეტროიტში გამოუშვეს „კადილაკის“ ფირმის პირველი ავტომობილი.

**1905 წელი** – შეიქმნა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო.

**1933 წელი** – გამოვიდა ჟურნალ „Newsweek“-ის პირველი ნომერი.

**1957 წელი** – ფრანგ მწერალს ალბერ კამიუს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში.

**1979 წელი** – დედა ტერეზას ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში.

**1986 წელი** – იცხაკ რაბინმა ჩამოაყალიბა ისრაელის მთავრობა.

**მედიანიუსი**

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| **თბილისი.** | +12 – +24 |
| **ქუთაისი.** | +18 – +29 |
| **ბათუმი.** | +20 – +26 |
| **ზუგდიდი.** | +20 – +28 |
| **თელავი.** | +11 – +23 |

## ჯანმრთელობა

### რაც უფრო მაღალ ადგილას ცხოვრობ...

**ადამიანებს, უფრო მაღლობ ადგილებში, მათ შორის მთებში რომ ცხოვრობენ, გულის იშემური დაავადებით და ინსულტით სიკვდილის რისკი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე ბარში მცხოვრებთ, – ამტკიცებენ შვეიცარიელი მეცნიერები.**

მათ ჩაატარეს დიდი გამოკვლევები, რითაც ცხადი გახდა, რომ რაც უფრო იზრდება საცხოვრებელი ადგილების სიმაღლე 1000 მეტრზე მაღლა, გულის იშემური დაავადებით სიკვდილიანობა



მცირდება 22 პროცენტით, ხოლო ინსულტით – 16 პროცენტით.

თანაც იმათ, ვინც დაიბადა და ცხოვრობდა მთებში, ხოლო შემდეგ ბარში გადავიდნენ, უნარჩუნდებათ გულის იშემურ დაავადებათა და ინსულტით სიკვდილიანობის დაბალი რისკი.

### მოვალეები ნერვიულობენ და სუქდებიან

**ადამიანებს, რომლებსაც ვალი აქვთ, უფრო ხშირად აწუხებთ სიმსუქნე, – ამბობენ გერმანელი მეცნიერები.**

მათ შეისწავლეს იმ 949 ადამიანის ანკეტა, ვინც მოხვდნენ „ბოროტი არგადამხდელების“ სიაში. აღმოჩნდა, რომ მოვალეებს 2-ჯერ უფრო მეტად აწუხებთ ზედმეტი წონა და 2,5-ჯერ ხშირად ავადდებიან სიმსუქნით.

მეცნიერების აზრით, მოვალეებს აწუხებთ უფულობასთან დაკავშირებული სტრესი. ამას გარდა თავდაპირველად კრედიტს იღებენ ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანები, რომლებიც, სტატისტიკის მიხედვით, ნაკლებად იცავენ ჯანმრთელი კვების წესებს და ხშირად მავნე ჩვევებიც აქვთ.

### სტრესის საუკეთესო მკურნალი

**ავსტრალიელმა მეცნიერებმა ახლახან მიაგნეს, რომ ახლადმოთიბული ბალახი ადამიანს ეხმარება ბედნიერების განცდაში, აწყნარებს ნერვებს, ასევე დაკავშირებული უნდა იყოს ბებრული ჭკუამოკლეობის გამომწვევი პროცესების შენელებასთან.**

მეცნიერები ყვებიან, რომ ახლადმოთიბული ბალახის სუნი მარტო სტრესს კი არ გვაშორებს, არამედ არსებითად აუმჯობესებს მეხსიერებასაც. მათი თქმით, ის მოქმედებს ტვინის იმ ნაწილებზე, პასუხს რომ



აგებენ ემოციებსა და მეხსიერებაზე.

ექსპერტები გვპირდებიან, რომ სულ მალე გამოუშვებენ სპეციალურ სუნამოებს, ახალმოთიბული ბალახის სუნით, რომელიც ადამიანებს დაეხმარება ნერვიული სისტემის დაწყნარებაში წლის ნებისმიერ დროს.

### ოხრახუში და ისპანახი კიბოს ებრძვიან



**კვისლინდელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მწვანილები (კამა, ოხრახუში, ისპანახი და ა. შ.) გვიცავენ კანის კიბოს აღმოცენებისაგან.**

მათ მიერ მოწყობილი გამოკვლევების შედეგად, მასში კი მონაწილეობდა 1000 კაცი, ვინც კვირაში სულ ცოტა სამჯერ მაინც ხმარობდა საჭმელში მწვანილს, მათ დაასკვნეს, რომ კანის კიბოს გაჩენის რისკი 55 პროცენტით მცირდება.

მედიკოსები ამას იმით ხსნიან, რომ მწვანილი დიდი რაოდენობით შეიცავს ფულიურმჟავას, A, C და E ვიტამინებს, სხადასხვა კაროტინიოლებს, რომლებიც ამაღლებენ კანის ბუნებრივ დაცვას ულტრაიისფერი გამოსხივებისგან.

### ალერგიისას ჭინჭარი დაგეხმარებათ



**ბევრისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ჭინჭრით დასუსხვა კანის ქავილსა და გაღიზიანებას იწვევს. თუმცა ყველამ როდი იცის, რომ ამას გარდა ჭინჭარი ამუხრუჭებს ალერგიულ რეაქციას.**

ამერიკელმა მვლევარებმა მიაგნეს ამ მცენარის ფოთლების ექსტრაქტში განსაზღვრულ ნივთიერებას, რომელიც თრგუნავს რეცეპტორებსა და ფერმენტებს, რომლებიც პასუხს აგებენ ალერგიული რინიტის ან პოლინოზის გაჩენის ძირითად სიმპტომებზე.

მეცნიერებმა გამოკვლევებით დაამტკიცეს, რომ ჭინჭრის ექსტრაქტის გამოყენება თავიდან აგვაცილებს ცხვირის გაჭედილობას, ქავილსა და გამონაყარს, რაც ძალზე აწვალებს ბევრ ადამიანს.

ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ამ გამოკვლევის საფუძველზე უახლოეს ხანში დაამზადებენ წამალს, რომელიც მნიშვნელოვნად გაუიოლებს სიცოცხლეს ალერგიით გატანჯულ ადამიანებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 9 9-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ბოლო, რაც კომუნიზმის მონაპოვართაგან (უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა და ა. შ.) დარჩა, ეს არის... უფასო მუშაობა.**

* * *

**ერთადერთი ექიმი, რომელიც ავადმყოფს იმაზე ცუდ მდგომარეობაში არასოდეს ჩააგდებს, ვიდრე იგი მასთან მიყვანამდე იყო, პათალოგანატომია.**

* * *

**როგორ გინდება ხოლმე დილაობით, რომ წარსულში დაბრუნდე და საკუთარ თავს შეუძახო: „დაეგდე დასაძინებლად, ნაძირალავ!..“**

* * *

**მივლინებიდან დაბრუნებული ქმარი ცოლს საწოლში ჩაუწვა და ალერსი დაუწყო.**

**ცოლმა ტუმბოდან პრეზერვატივი ამოიღო და ქმარს მიაწოდა, – გაიკეთეო.**

**– რად მინდა, ჩვენ ხომ უარი ვთქვით მის გამოყენებაზე?**

**– იქნებ შენ, მივლინებაში ყოფნისას, ქალებთან ერთობოდი?**

**– რას ნიშნავს იქნებ? თუ ასეა, იქნებ შენ თვითონ ერთთავად სულ საწოლში კოტრიალობდი?**

**– ამიტომაც გეუბნები – გაიკეთე!!!**

* * *

**პატარა მიხო მშობლების მორიგ ჩხუბს შეესწრო. სკანდალის მერე იგი ნამტირალევ დედასთან მივიდა და ჰკითხა:**

**– დედი, რამდენი ხანია, რაც გათხოვილი ხარ?**

**– ექვსი წელია, შვილო.**

**– კიდევ რამდენი წელიწადი დაგრჩა?**

* * *

**მეტროს ვაგონში ჭედვაა. ახალგაზრდა ქალის ხელი შემთხვევით შეეხო გვერდით მდგომი მამაკაცური ღირსების ორგანოს.**

**– ოი, მაპატიეთ! – ამოიღუღლუღა შეცბუნებულ-წამოწითლებულმა ქალმა.**

**– ოო, არა, ქალიშვილო, მე მოჭადრაკე ვარ. ჰოდა, რახან შეეხეთ, ითამაშეთ კიდეც!**

* * *

**თუ დილით ცოლს ქმართან არაყი მიაქვს „პახმელიაზე“ გამოსასვლელად, ესე იგი, ის მარტო ჭკვიანი კი არა, ლამაზი ქალიც არის.**

* * *

**რით განსხვავდება ბრაზილიური ფეხბურთი ქართულისგან?**

**ბრაზილიელები ტელევიზორთან სხედან, თამაშს უყურებენ და ფიქრობენ:**

**„გაუმართლათ ბიჭებს, ნაკრებში თამაშობენ“.**

**ჩვენი ფეხბურთელები კი მინდორზე დარბიან, ვითომ თამაშობენ და ფიქრობენ:**



**„გაუმართლათ ბიჭებს, ახლა ტელევიზორთან სხედან და სასმელს წრუპავენ“.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.